№ 277
პარასკევი, 21 დეკემბერი, 1901 წ.
გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877-1901

ივერია

№ 277
პარასკევი, 21 დეკემბერი, 1901 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვ ეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი" № 838

„ივერია"

გამოვა 1902 წელს

(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულის ფორმატისა

იმავე პროგრამით, როგორც წინად

თან-და-თანობითმა ზრდამ მკითხველთა მოთხოვნილებისამ და იმ გარემოებამ, რომ პატარა ფორმატი გაზეთისა ნებას არ გვაძლევდა საჭირო საგნებისა და საზოგადო საკითხებისათვის ჯეროვანი ადგილი დაგვეთმო ხოლმე,—გვაიძულა გაგვედიდებინა გაზეთი და გაგვეხადა ახლანდელის ზომისა. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატა ნახევარი იმისა, რაც აქამდე იყო.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

ფასის გარდახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: 5 მან. ახლავე, 5 მან. მაისის გასულს.

გაზეთის დასაბარებლად უნდა მიჰმართონ:

ტფილისში—„ივერიის" რედაქციას (ნიკოლოზ. ქუჩა, № 21).

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიას (**სასახლის ქ., თავად-აზნაურობ. ქარვ.**)

ქუთაისში—ბეჟანიშვილის" წიგნის მაღაზიას

ბაქოში—ხიდეკელის წიგნის მაღაზიას (**ნიკოლოზ. ქ. ქადანთარის ქარვასლის პირ-და-პირ**).

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія".

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას 23 დეკემბერს 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

I

თამარ ბატონიშვილი

ისტორიული დრამა 5 მოქმედ. გ. მესხისა

II

ქლიავი

ვოდევილი 1 მოქმედ. რუსულიდგან ნ. გალუსტოვის

მონაწილეობენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა, მდივანი. ბ-ნნი გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ჯურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხ.

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება წარმოსადგენად: გ. გედევანოვის საბენეფისოდ პიესა „მუზმუზელა" მოლიერისა.

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს

ყველას საცნობელად, რომ, ს. ა. და ი. ა. ამირაღოვების სახელობის სტიპენდიათა დებულების თანახმად, **განთავისუფლდა ორი ვაკანსია** მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში ტფილისელ ღარიბ სტუდენტთათვის ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად. ერთი სტიპენდია სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტისთვის არის, მეორე იმავე მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტისთვის ფაკულტეტის განურჩევლად. თითო სტიპენდია 400 მან.

თხოვნები მიიღება ქალაქის გამგეობის შემოსავალ-გასავლის მეორე განყოფილებაში ორის კვირის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნებიდგან. თხოვნასთან წარდგენილ უნდა იქმნას მოწმობა მოსკოვის უნივერსიტეტის გამგეობისა და აღნიშნულ იქმნას ადგილი, სადაც მთხოვნელის დედ-მამა სცხოვრობს.

(1—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მომავალს საარჩევნო სიაში ქალაქის მამულის პატრონთაგან შეტანილ იქნებიან მხოლოდ ისინი, ვისაც დეკემბრის დამლევამდე ექმნება წარდგენილი 1901 წელ. 1-ლ ივლისამდე დარჩენილი დაფასების გარდასახადი. აუწყებს-რა ამას ქალაქის გამგეობა, სთხოვს ბ-ნთ სახლის პატრონებს, აღნიშნული გარდასახადი თავისს დროზედ შეიტანონ.

(3—6.—3).

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. ვ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე. ბავშვებისა. 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^{1}/_{2}$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5–6 საათ.

კვირაობით:

გ. ვ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ვისაც ჰსურს **საახალწლოდ სადარბაზოდ სიარულის ნაცვლად** შეწირულობა გაიღოს „ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ, შეუძლიან ფული „ივერიის" რედაქციაში წარმოადგინოს.

შემომწირველთა სია დაიბეჭდება „ივერიის" საახალწლო ნომერში.

(სარედ.)

1901 წლის 22 დეკემბერს ტფილისის საკრებულო დარბაზში გამართული იქნება წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

კონცერტი,

რომლის დასასრულ იქნება **ცეკვა** ქართულ-ევროპიული. საღამოს დიასახლისად ბრძანდება ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილი. დაწვრილებით ცნობა თავის დროზე. ბილეთები საზოგადოების კანცელარიაში იყიდება.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

(142—242—11).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაპკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7^{1}/_{2}$ ს.

ლს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ახალი ამბავი

⁂ ხვალ, 22 დეკემბერს ავჭალის სახალხო წარმოდგენათა და კითხვების სადგომში ქართულ სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ვალ, გუნიას მიერ ფრანგულიდგან ნათარგმნ 5 მოქმედებიან მელოდრამას „პარიზის ღარიბ-ღატაკნი". წარმოდგენა დაიწყება საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ.

⁂ კვირას, 23 დეკემბერს ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დილის 11 საათზედ დანიშნულია სხდომა „კავკასიის ბეჭდითი სიტყვის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წესდების პროექტის განსახილველად. სასურველია, ყველა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი დაესწრონ სხდომას.

⁂ ოთხშაბათს, 19 დეკემბერს სამეურნეო საზოგადოების სადგომში საღამოს 8 საათზედ შესდგა სხდომა წარსულის გამოფენის გამმართველ კომიტეტისა. სხდომაზედ სხვათა შორის ალიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ცალკე წიგნად გამოსცენ მთელი გამოფენის აღწერილობა, დაწვრილებით იმ ექსპონატების აღნიშვნით, რომელთაც უფრო დამახასიათებელი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის მეურნეობისა და მრეწველობის სხვა და სხვა დარგთათვის. კომიტეტმა გარდასწყვიტა, წინადადება მისცეს გამოფენის ყველა განყოფილებათა გამგეთ, რომ მათ შეადგინონ ცალ-ცალკე აღწერილობანი ამა თუ იმ განყოფილებისა; როცა ყველა განყოფილებების აღწერილობანი შედგენილ იქნება, მერე მათ გადასინჯავს გამოფენის ყოფილი უმთავრესი საექსპერტო კომისია და სამეურნეო საზოგადოების ხარჯით გამოსცემენ ამ სათაურით „კავკასიის 1901 წლის საიუბილეო სამეურნეო-სამრეწველო გამოფენა".

⁂ როგორც იქნა, გაათავა წყნეთის ქუჩის მოკირწყლვა ქალაქის გამგეობამ, მაგრამ ზედ ცხენის რკინის გზის სიარულს კი მალე ვერ მოესწრებიან წყნეთელები. მიზეზი, როგორც „კავკაზი" გადმოგვცემს, ის გახლავთ, რომ გამგეობას პროექტი და გეგმა გზის ლიანდაგისა ჯერაც არ გაუგზავნია დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მ. რ. ზავადსკის დაბრუნებას „Тифл. Лист." სიტყვით, საშობაოდ ელიან ტფილისში, და აქედგან ბ-ნი მზრუნველი გასწევს სამსახურის საქმეების გამო პეტერბურგს.

⁂ ღამის თავშესაფარის გამგე კომისიას უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის, რომ ხელახლავ დაიქირაოს თავშესაფარისათვის მელიქოვის სახლი, რომლის უკეთესს, კომიტეტის აზრით, გამგეობა ვერ იშოვნის, მეტადრე შუაგულს ქალაქში. ბ-ნი მელიქიშვილი თურმე თანახმაა, ახალ ვადიდგან წლიურად 1100 მანეთად მიაქირაოს ქალაქს თავისი შენობა.

⁂ მოსკოვის გაზეთს „Руское Слово"-ში ვკითხულობთ: „ამ ცოტა ხანში მოსკოვში მოელიან პეტერბურგს მიმავალ ტფილისის თავად-აზნაურობის დეპუტაციას, რომელსაც შეგებებას უპირებენ როგორც მოსკოვის, აგრეთვე ზოგიერთთა სხვა გუბერნიების თავად-აზნაურთა წარმომადგენელნიც".

⁂ რუსეთის შინ ად-მრეწველთა მომავალ კრებისათვის (პეტერბურგში), აგრონომი პ. ს. ფირალოვი, „К. С. Х." სიტყვით ამზადებს ვრცელს მოხსენებას შემდეგი სათაურით: „კავკასიის შინად-მრეწველობის საჭიროებანი".

⁂ როგორც მკითხველსაც მოეხსენება, ქიათურელ მწარმოებელთ შეადგინეს სამრეწველო ამხანაგობა (შავი-ქვა), რომელიც შესდგება რამდენიმე ჯგუფისაგან. ამ ჯგუფთა წარმომადგენელნი ახლა ქუთაისში არიან და დროებით არჩეულ საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად ირკვევენ სხვა-და-სხვა კითხვებს. რამდენიმე დღის წინად ამ წარმომადგენელთა ერთს კრებაზე ირჩეოდა წესდების ის მუხლი, რომელიც მოგების განაწილებას შეეხება. ამ მუხლის განხილვის დროს, თურმე, კომიტეტის ერთმა წევრმა, რომელიც პატიოსანი და ენერგიული მშრომელია ყოველ საქმეში, რომელიც კი საზოგადოებისათვის სასარგებლოდ მიაჩნია, მისცა წინადადება კრებას, სამი პროცენტი (3%) წმინდა შემოსავლისა გადავსდვათ ქუთაისში ქართული გაზეთის დასაარსებლადაო და ერთ დროით აღმოვუჩინოთ გაზეთს (დაარსების დროს) დახმარება სამასი თუმნითაო. ამ ფრიად ბედნიერს და საქებურ წინადადებას, თურმე, მთელი კრება თანაგრძნობით მიეგება და იგი კიდეც შეტანილ იქმნა წესდებაში.

ეს ამბავი გვანუგეშებს და გვარწმუნებს, რომ ჩვენს ხალხში ჯერ არ აღმოფხვრილა საზოგადოებური ალღო, არ გამწყდარა ის საზოგადოებური ძარღვი, რომელიც სხვა დროსა და სხვა პირობებში არა ერთხელ გამოგვიჩენია ქართველებს და რომელიც მიუცილებლად საჭიროა ერის კეთილ-დღეობისა, და დღეგრძელობისათვის! („ცნ. ფურ.")

⁂ ღ. სამტრედია. სამტრედიიდგან გვწერენ: „18 დეკემბერს, აქაური რკინის გზის სასწავლებლის მოწაფეები დაითხოვეს იმის გამო, რომ რამდენიმე მოწაფენი ავად გახდნენ ყელ-ჭირვებით. აგრეთვე ყელჭირვებამ თავი იჩინა აქაურ 2-კლასიან სამინისტროს სკოლაშიც, სადაც ავათ გახდა ერთი მოწაფე. მცხოვრებლებშიაც ვრცელდება ყელ-ჭირვება. საჭიროა ზომების მიღება.

— **იურიევი** (დორპატი). სამკურნალო ფაკულტეტზედ სახელმწიფო გამოსაცდელი ეგზამენები უკვე დასრულდა. ექიმობის ხარისხი სულ 127 კაცმა მიიღო, რომელთაგანაც ოთხი ქართველია: ს. დიდიძე, დ. კერესელიძე, ლ. ფავლენიშვილი და ვაშაკიძე. ორმა მათგანმა დიდიძემ და კერესელიძემ გამცდის დროს თავი ისახელეს.

ამასთანავე არ შეგვიძლიან, არ აღვნიშნოთ ფრიად საყურადღებო სამსახური და შრომა ბ-ნ დიდიძისა სტუდენტებისადმი. ბ-ნი დიდიძე მთელი ოთხი წელიწადი „სტაროსტად" იყო კურსისა და მთელ ამ ხნის განმავლობაში მხნედ ემსახურებოდა სტუდენტობას და მარჯვედ და ხერხიანად იცავდა მათს ინტერესებს. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ისეთი დამოკიდებულება და ურთ-ერთობა ჩამოაგდო სტუდენტებსა და პროფესორებს შორის, რომ უკეთესის ნატვრა აღარ შეიძლებოდა. აი ეს გარემოება შეიქმნა საფუძვლად იმისა, რომ ბ-ნმა დიდიძემ ყველას ყურადღება და პატივი დაიმსახურა, როგორც სტუდენტობისა, ისე პროფესორებისაც. ვინც ინატრის „სტაროსტა" დიდიძისთანაო, ხშირად გაიგონებდით სტუდენტებში.

მადლიერმა სტუდენტობამ ბ-ნს დიდიძეს, დიდ მადლობის გარდა, ნიშნად ღრმად პატივისცემისა, სახსოვრად მიართვა მშვენიერი ძვირფასი ოქროს საათი, ღირებული 300 მან. და ენციკლოპედია სამკურნალო მეცნიერებათა, 200 მან. ღირებული. ჩვენც ჩვენის მხრივ ვულოცავთ გზას ბ-ნს დიდიძეს და ვუსურვებთ, რომ შემდეგ სამშობლოშიაც ისეთივე შრომა და დახმარება გაეწიოს თავის მოძმეთათვის.

⁂ ივანე სერებრიაკოვს შემახიის მაზრის მემამულეს ჰქონებიათ 400 დესეტინა მიწა, რომელზედაც მოუსურვებია ღორის მოშენება და მიუმართავს კავკაასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისთვის, რომ აცნობოს მას, რა ჯიშის ღორი უფრო მოშენდება იმ ადგილს.

⁂ პოლიციის მესამე ნაწილში ავჭალის ქუჩაზე მცხოვრებელს ფედორე ილიასძე სტასენკოს განუცხადებია, რომ ჩემი ოთახიდგან მომპარეს ორი ბეჭედი ბრილიანტის თვლებიანიო. ეჟვი განაცხადა თბილისის მცხოვრებ აბაზ ახრიევზე, რომელიც გაჩხრიკეს და 7 მანეთიანი საათი უნახეს. ახრიევმა სთქვა, მე არაფერი ვიცი ბეჭდებისა, მხოლოდ ეს საათი მოვპარე დიმიტრი ჭელიძესო.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის მეორე დეპარტამენტში ხვალ, 22 დეკემბერს. განსახილველად დანიშნულნი არიან საქმეები შემდეგ პირთა: ვლადიმერ გატცუკის და უსენსკისა (ცილის წამება ბრალდებათ), ისაკ გოლოშვილისა(—კაცის მოკვლა), სპირიდონ მახარიასი(—კაცის მოკვლა) სამსონ ლორთქიფანიძისა(—შეურაცხყოფა), ზაქარია და იობ ბარტიშვილებისა(—კაცის მოკვლის განზრახვა), ბიძინა დუდაშვილისა(—სააქციზო წესდების დარღვევა), მიხეილ ვალიშვილისა,(—ჩუმად არაყის ხდა), ვასილ და თეოდოსია ბიბილაშვილებისა(—სიყალბის ჩადენა) და დავით თეგიშვილისა (კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდება).

⁂ მე 16 სამეგრელოს გრენადერთა პოლკის ყაზარმებიდგან არხი უნდა იქნეს გამოყვანილი ავლაბრის პირველსა და ორლოვის ქუჩაზედ. ამიტომ კავკასიის სამხედრო საინჟინერო სამმართველომ სთხოვა ქალაქის გამგეობას 19 დეკემბერს, არხი გააკეთეთ და მისთვის საჭირო ფულს 3695 მან. მალე წარმოგიდგენთო.

⁂ 18 დეკემბერს, ნავთლუხის რკინის გზის სადგურზედ, როდესაც საქონლის მატარებელი გააჩერეს, დაეცნენ ბოროტ-გამზრახველნი, გასტეხეს ვაგონის კარები და წაიღეს რამდენიმე საქონელი, რომელიც იგზავნებოდა ალექსანდრეპოლიდამ კავკავში. ქურდები ვერ შეიპყრეს.

⁂ 18 დეკემბერს, სურამსა და ხაშურ შუა რკინის გზის მცველს ბარბაქაძეს ესროლეს თოფი სარკმლიდგან და დასჭრეს კისერში. მსროლელი არ იციან, ვინ არის.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში, 19 დეკემბერს, საღამოზედ, მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიისა. სხდომას უნდა გინეხილა, თუ რა ღონის ძიებანი იხმარონ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ნაკლულევანებათა ასაშორებლად და გარდასწყვიტეს: სკოლის საპედაგოგო

ნაწილის მდგომარეობაზე შენიშვნების შესახებ განმარტებანი მოსთხოვონ სახელოსნო სკოლის საპედაგოგიო საბჭოს, ხოლო სატეხნიკო ნაწილის შესახებ თვით სკოლის დირექტორს სკოლების კომისიას და გამგეობას ამ საგანზე ექნებათ კიდევ მსჯელობა, როგორც კი აღნიშნულ ცნობებს მიიღებენ სკოლის დირექტორისა და საპედაგოგიო საბჭოსაგან.

⁂ 19 დეკემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობის სხდომაზედ განიხილეს ქალაქის აფთიაქის მოიჯადრეების, ენიკოლოფოვების განცხადება, რომლითაც იგინი სთხოვენ გამგეობას, მომავალ 1902 წლის იანვრიდგან საიჯარო ფული ან 3000 მან. გაგვიხადეთ და ან ხელახლა დანიშნეთ საჯარო ვაჭრობა აფთიაქის იჯარით გასაცემადაო. გამგეობამ ეს საკითხი განსახილველად გარდასცა იურისკონსულტსა და სასანიტარო ინსპექტორს.

⁂ რამდენიმე ხნის წინად საქართველოს სამღვდლო-საეკლესიო სკოლების საეპარქიო საბჭომ სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის ექიმებს უფასოთ აღმოეჩინათ შემწეობა ტფილისის ზოგიერთ სამღვდლო-საეკლესიო სკოლების ავადმყოფ მოწაფეთათვის. ვიდრე გამგეობა ამაზე თვით რამე გარდაწყვეტილებას დაადგებოდა, საქმე გარდასცა ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ ქალაქის მკურნალები შემწეობას უფასოდ აღმოუჩენენ სამღვდლო-საეკლესიო სკოლის ავადმყოფ ბავშვებს, თუ იგინი დანიშნულ დროზე მეპატრონეთაგან თვით ექიმებთან იქნებიან მიყვანილი. ქალაქის გამგეობამ ეს საკითხი განიხილა 19-ტ დეკემბრის სხდომაზედ. მოიწონა სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს მოსაზრება და დაამტკიცა იგი.

⁂ მკითხველებს ეახსოვრებათ, რომ ამას წინათ ინჟინერთ ხატისოვმა და ბრაილოვსკიმ სთხოვეს ქალაქის საბჭოს, ნება მიეცათ მათთვის სოლოლაკის მთის ქვეშ საბოტანიკო ბაღის ბოლომდე გვირაბის გაყვანისა და შიგ ცხენის რკინის გზის გატარებისა. ამ რამდენისამე ხნის წინად საბჭომ პრინციპიალურად მოიწონა იგი, მაგრამ რადგანაც ზოგიერთმა ხმოსნებმა განაცხადეს, რომ შეიძლება ტფილისის აბანოს წყლებს სოლოლაკის მთის ქვეშ სათავე ჰქონდესთ და გვირაბის გაყვანამ რაიმე ზარალი მიაყენოს ტფილისისათვის ამ ძვირფასს წყლებსო. განსაკუთრებულს კომისიას მიენდო გამოკვლევა ამ საქმისა, მოხსენების შედგენა და საბჭოში განსახილველად წარდგენა. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას, და სხდომა ექნება 22 დეკემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში.

⁂ განთავისუფლდა ამირალოვების ორი სტიპენდია მოსკოვის უნივერსიტეტში. მსურველთ უნდა მიჰმართონ ტფილ. ქალ. გამგეობას (დაწვრილ. ცნობ. იხ. განცხადებაში).

⁂ **ქუთაისი:** აქაური სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორის მეცადინეობით შედგენილ იქმნა წესდება ამ სკოლის შეუძლებელ მოწაფეთა დამხმარებელის საზოგადოებისა; წესდება უკვე დამტკიცებულია გუბერნატორისაგან და ამ დღეებში მოხდება პირველი კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნება საზოგადოების გამგეობა.

⁂ **იქიდამვე:** ქუთაისის თავად-აზნაურთა შორის აღიძრა სურვილი, რათა დაარსდეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება, რომელსაც საგნად ექმნება შეუძლებელ მოსწავლეთა დახმარება. ეგ იმ გვარივე საზოგადოება იქმნება, რომელიც მთავრობისაგან დიდი ხანია დამტკიცებულია ტფილისის გუბერნიაში და რომელიც პატრონობს და განაგებს ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიას.

⁂ **იქიდანვე:** აქაური პურის გამომცხობი საზოგადოება, როგორც იქმნა, გადარჩა ყოველს ჩვეულებრივს ხიფათს და უკვე დაიწყო მოქმედება. ჯერ-ჯერობით ხალხი ძლიერ კმაყოფილია, რადგანაც შედარებით კარგის თვისების პურს აცხობენ.

⁂ გუშინ ტფილისის სასამართლო პალატამ განიხილა ქუთაისის გუბერნიის არტემ ჭაბუკიანის ოლქის სასამართლოს განაჩენზე სააპელაციო საჩივარი; ჭაბუკიანი ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია კაცის მოკვლის განზრახვაში და ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევით გარდაუწყვეტია მისი პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1½ წლის გაგზავნა. პალატამ დამნაშავედ ცნო ჭაბუკიანი აღნიშნულ ბრალდებაში და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

⁂ 19 დეკემბრის სხდომაზედ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გარდასწყვიტა, გადასდოს საჭირო ფული ქალაქში ღორის ხორცის მიკროსკოპიულად გამოკვლევისათვის, რადგანაც ამ საგნისათვის გადადებული 200 მან. ქალაქის ლომბარდის გამგის ბ-ნ ალიბეგოვის მოხსენებით უკვე გამოლეულა.

ქუთაისის ქ. საბჭო.

17-ს დეკემბერს.

განსახილველ საქმეთა შორის მხოლოდ შემდეგი იყო საყურადღებო: „მწვანილის ბაზარზე ხულების (ბუტკების) აგების შესახებ კომისიის მოხსენება, მეეტლეთა თხოვნა ნიხრის მომატების შესახებ და პოლიცმეისტრის ორი შუამდგომლობა.

ქალაქის მოურავმა, ბ-ნმა ლორთქიფანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ პირველი საქმე შემდეგისათვის უნდა იქმნას გადადებული, რადგანაც ჯერ კომისიას არ დაუსრულებია საჭირო ცნობათა შეკრებაო.

ამასთანავე წაკითხულ იქმნა ხულების მოიჯარადრეთა განცხადება, რომლითაც თხოულობდნენ, რომ მათ, რაკი, გამგეობის განკარგულებით ხულები უკვე ჩამოერთვათ, შეტანილ საიჯარადრო ფულიდან დაუბრუნდეთ, რაც ერგებათ. საბჭომ ეს თხოვნა შეიწყნარა.

მეეტლეთა თხოვნის გამო გამგეობას შეუკრებია დაწვრილებით ცნობანი ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებში და აღმოჩენილა, რომ ჩვენებური მეეტლეები უკეთესს გარემოებაში ყოფილან ამ მხრივ. ყველა სხვა ქალაქებში უფრო მეტს მანძილზე ტარებისათვის მეეტლეები ნაკლებს იღებენ თურმე, და ქუთათური ნიხრი შედარებით უფრო შეღავათიანი ყოფილა.

ის თხოვნა, რომ ქალაქს გარეშე, გელათის, მოწამეთის, ხონის და წყალტუბოს გზებზე მაინც ნიხრი მოსპობილიყო, გამგეობის მოხსენების თანახმად, საბჭომ შესაწყნარებლად ვერა სცნო, რადგანაც ზემოხსენებული ადგილები ქალაქთან მჭიდროდ არის შეკავშირებული და მისვლა-მოსვლის გასაადვილებლად, არა თუ ქალაქის არე-მარეში, არამედ მაზრების სასოფლო გზებზედაც მეეტლენი მოვალენი არიან მაზრის ადმინისტრაციისაგან განსაზღვრულ ნიხრით იხელმძღვანელონ.

ზემოხსენებულ მოსაზრების მიხედვით, მეეტლეთა თხოვნა საბჭომ სავსებით უარ-ჰყო.

პოლიცმეისტრის შუამდგომლობა, რომ მისის თანაშემწის ბ-ნ ტატიაჩენკოსათვის ჯამაგირი მოემატებია ქალაქს, საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა, რადგანაც პოლიცმეისტრის თანაშემწეს საშტატო დებულებისამებრ ჯამაგირი ხაზინიდგან ეძლევა და არა საქალაქო ბიუჯეტიდან.

მეორე შუამდგომლობით პოლიცმეისტერი თხოულობდა, რომ ბოქაულთა კანცელარიების მოსაწყობ ავეჯის შესაძენად 300 მანეთი მიეცა ქალაქს. საბჭომ ამ საგანს კენჭი უყარა და 12 ხმის უმეტესობით, წინაამდეგ 11-სა, გარდაწყვიტა, ამ საჭიროებისათვის ქალაქის კასსიდან ერთხანად პოლიცმეისტერს მიეცეს 200 მანეთი.

ქართული და ბერძნული გალობათა დამოკიდებულების შესახებ.

ამ ბოლო დროს ქართულს საერო და სასულიერო გალობას დიდი ყურადღება მიაქციეს. ჩვენი მეძიებელნი ძმანი კარბელაშვილნი, ქორიძე, ბალანჩივაძე, კარგარეთელი, ბენაშვილი, ფალიაშვილი, არაყიშვილი და სხვ., აგრეთვე რუსთა შორის, იპპოლიტოვ-ივანოვი, კლენოვსკი, კორჩენკო შეუდგნენ აღბეჭდვას და გამოკვლევას ქართული სიმღერებისა და გალობისას. ამ პატიოსან მოღვაწეთა აზრი ქართული ხმების-მელოდიების შესახებ ორნაირად გაიყო: ერთნი იმას მოწმობენ, რომ საერო სიმღერა აღმოცენდა სასულიერო გალობის ნიადაგზე და ამჩნევია მას უეჭვოდ ბერძენთა გალობის გავლენა, მეორენი ამტკიცებენ, რომ ქართულს სასულიერო გალობას კავშირი აქვს საერო სიმღერასთან, რომელიც მთლად დამოუკიდებელია, ნაციონალური შექმნის ნაყოფია. მღვდელი პოლიევქტ კარბელაშვილი სრულიად უარყოფს ბერძნულ გალობის გავლენას ჩვენი ეკლესიის მელოდიებზედ და ამ აზრს ამტკიცებს, ერთი საყურადღებო საბუთით: ბერძნული გალობა ერთხმოვანია და ქართული მრავალ-ხმოვანიო. ამავე დროს ძმანი კარბელაშვილნი გვარწმუნებენ, რომ მათი გალობა უძველესი დროიდან მომდინარეობს და მეათე საუკუნის ნოტები მიელ მოდრეკილისა, ისე არიან აწეულ-დაწეულნი, როგორც ამ ჟამად მათი მიმდევარნი გალობენ. ბ. იპპოლიტოვ-ივანოვი, რომელმაც საქართველოში შეისწავლა ჩვენი გალობა და სიმღერა, სრულიად წინააღმდეგი აზრისაა: იგი ჰფიქრობს, რომ ჩვენი, საეკლესიო გალობა შედეგია „იონიური და დორიული ლადებისა“ და თვით საერო სიმღერა ამ გავლენის ქვეშე არის მოწყობილი. ამ მდგომარეობაშია სიმღერა-გალობის შესახებ საკითხი. რამდენად მართალია ერთი ან მეორე აზრი, მაშინ შეიძლება დამტკიცებით გადაწყდეს, როდესაც დაწვრილებით გვეცოდინება იმ წყაროს დასაწყისი და განვითარება, რომლის გავლენას ერთნი აღვიარებენ და მეორენი უარყოფენ.

მე მოგახსენებთ ბერძნული გალობის შესახებ. აი სწორედ ეს საკითხი არის აქამდის ბურუსით მოცული და მტკიცედ გამოურკვეველი. ასე თუ ისე ამ ბნელს საგანს შუქი მოჰფინა კათოლიკეთა ბერმა, პიტრამ პირველად 1867 წ. თავის თხზულებით **Hymnographie de l'èglise grecque. (Rome).** ამან აღმოაჩინა ის გასაღები, რომლითაც დაკეტილი ბერძენთა სასულიერო პოეზიის კლიტე გახსნა და თვალსაჩინო ჰყო, რომ იგი პოეზია დამყარებულია მარცვალთა რიცხვზედ და ხმის აწევაზედ. ეს აზრი მით არის შესანიშნი, რომ წინაპარნი მეძიებელნი ამტკიცებდნენ, რომ ბერძნული სასულიერო პოეზია დაწერილია პროზად და არ ექვემდებარება რაიმე კანონს, რადგან მასზედ მეფობს თვითნებობა მგალობელისა. ამ სიყურადღებო პიტრას დასკვნას უნდა მიექცეს ჩვენშიაც ყურადღება და მეძიებელთ სჭირთ გამოიკვლიონ, რამდენად შეესაბამება პიტრას აზრი ჩვენს ირმოსებს და ტროპარებს, ესე იგი, ჩვენი ირმოს-ტროპარებიც აღგებულნი არიან თუ არა მარცვალთა რიცხვზედ (**число слоговъ**) და ხმის აწევაზედ. მე სპეციალისტი არ გახლავართ ამ საკითხის გადასაწყვეტად, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ ჩვენი იამბიკონი, რომელთა მწერალნი მრავალნი ვიციო, წარმოშობილნი არიან ბერძენთა მიბაძვით. აგრეთვე ჩვენი აკროსტიხის დასაწყისი საბერძნეთში უნდა ვეძიოთ. ამ გავლენის გვერდით ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს სემიტების ზედ გავლენაც, რომელსაც უჩვენებს მღვ. პ. კარბელაშვილი და მას წარმოაშობინებს ქართულს გალობას ბერძენთა დამოუკიდებლივ. აქაც უნდა მოგახსენოთ, რომ საჭიროა საფუძვლიანი გამოკვლევა, რადგანაც უკვე ბერძენთა საეკლესიო პოეზიაში აღვიარებულია სემიტების გავლენა (რითმის შესახებ და მაშასადამე ჩვენ მივითვისეთ უკვე ბერძენთა მიერ გარდაქმნილი სემიტების, უკეთ ვთქვათ, სირიელების გალობა. ეფრემ ასურელი). ამ სირიულს გავლენას აქამდის ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევდით, თუმცა მისი ზედმოქმედება ეჭვს გარეშე უნდა იყოს.

ორიოდე სიტყვა კიდევ დასასრულს. მღვ. ვასილ კარბელაშვილმა გამოსცა ნოტებზედ გადაღებული „ცისკარი“ (საგალობელნი) და სხვათა შორის მოჰყავს სამაგალითო ნაწყვეტები მე-X საუკუნის ნოტებიანი ხელნაწერიდგან. ამ ძველის დროების ნოტებს აქამდის რიგიანად ვერვინ კითხულობს, თუმცა თვით ძმანი კარბელაშვილნი ამტკიცებენ, რომ მათი გალობა ეთანხმება მე-X საუკ. ქართულ ნოტებს. ამ ნოტების გამოცემას, ჩემის აზრით, დიდს დახმარებას გაუწევს ეხლახან გამოქვეყნებული ძველი ბერძნული ნოტების ნიშნები იმ კრებულში, რომელიც გამოცემულია სტამბოლში. (**Извѣстія рус. археолог. Института въ Константинополѣ, VI, вып. 2—3, Софія, 1901**). ავტორი ამ წერილისა **თიბო** იკვლევს ბიზანტიურ მუსიკას და მოჰყავს ნოტების ნიშნები, რომელსაც წააგავს მე-X საუკ. ჩვენს ნოტებიან ხელნაწერს. (**Etude de musizue Byzantine J. Thibaut**). მივაქცევ ყურადღებას ჩვენი გალობის მეძიებელთა ამ სტატიაზედ. იგი ჰფენს ნათელს ჩვენი ძველი დროის ნოტების ნიშნებს.

ა. ხახანაშვილი.

დამაკვირდი

ბრიყვი კაცის ჭკვიანობა სიჩუმეა. ჭკვიანისა სიბრძნით ლაპარაკი.

ჭკვიანს კაცს გულზედ უძის ენა, უჭკუოს ენაზედ უძევს გული.

ჭკვიანი კაცი თვალს გაახელს და პირს მოჰკუმავს.

ლაპარაკზედ მეტად გაგონება უნდა გიყვარდეს

დაბა და სოფელი

ს. გუბი, (ქვემო-იმერეთი). 13 დეკემბერი. მართალია, ცხენისა და ხვადგის ქურდობა ჩვენში ახალი ამბავი აღარავისთვის არის, მაგრამ ახალს ძალას და ბედულობას-კი იჩენს. აქედგან ცხენის წყალამდის სულ ათი ვერსია. გადმა „განთქმული“ ანძლები სახლობენ, რომლებიც ცხენის წყლის გამოღმა ცხენისა და რქიან საქონლის გამაწყვლებლებად არიან ცნობილნი ჩვენში. თუ წინად ჩვენში, ნასთვლევიდგან დაწყებული სიმინდის მარგვლამდის, მთელი შვიდ-რვა თვე ცხენები ყველას გაშვებული ჰყავდა უმწყემსოდ, დღეს არა-თუ უმწყემსურად, რკინის ბორკილით რომ თავლაში გებასთ ცხენი, დარწმუნებული არა ხართ, რომ დილას თქვენი ცხენი თავლაში დაგხვდებათ...

დღეს ღამის რაინდები პირდაპირ ძალას ხმარობენ და გზაში მიმავალს ცხენოსანს თავს ესხმიან, ართმევენ. ურემში რომ ხარებს უბამდა გლეხი, ქურდები დაესხნენ, სცემეს, ხარები წაართვეს და წავიდნენ. ორივე ეს შემთხვევა გუშინ მოხდა. ამ რიგად უწინ, როცა ჩვენში პოლიციას ამოდენი ძალა და წესი არა ჰქონია, უფრო უშიშრად ვიყავით. დღეს-კი, როცა მამასახლის-გზირების და ღამის დარაჯების გარდა, კიდევ სხვებიც თავს გვადგანან, ახლა გათამამდნენ... ხარების მოპარვაც სწორედ ამ ბოლოს დროს გახშირდა, როცა ქურდს უკან დადევნებისა სრულებით აღარ ეშინიან...

რით აიხსნება, ნეტა, ეს გარემოება? სოფლის

ფელეტონი

სიბერე.

„დავბერდი, დავჩაჩანაგდი,
წვერი შემექნა ჭაღარა;
შინ ცოლ-შვილს მოვძულებივარ,
ბატონს ვუნდებივარ აღარა!“

ესა სთქვა სიბრძნემ ხალხისამ,
დრომაც ბეჭედი დაასო,
და ამ სიმართლემ მოხუცის
გული კი ნაღვლით აავსო.

როგორც ზამთარი უცეცხლოდ,
სიბერეც უსიყვარულოდ
რა არის თუ არ ღვთის რისხვა,
სიცოცხლე უსიხარულოდ?

რას არგებს მოხუცს, რაც ძველად
ჩაუწერია დავთრებში,
რომ არც აქ არის, აღარც იქ,—
არც ცოცხლებშია, არც მკვდრებში?

მოელის სულთამხუთავის
საზარელ მოციქულობას,
მაგრამ ძნელია მიჩვევა:
გული არ იშლის გულობას.

და როცა ზოგჯერ ჩუმ-ჩუმად
დაიწყებს ხოლმე ძგერასა,
მოხუციც ცდილობს, შეჩოჩდეს,
მოუჯდეს თბილსა კერასა.

მაგრამ ვინ მისცემს იქ ბინას?
ცეცხლი სხვებისთვის ანთია
და მოხუცისთვის კი მხოლოდ
გულის დამწველი შანთია!

გამობრუნდება მოხუცი
სასო მიხდილი, გულ-მკვდარი;
თან ელანდება წარსული,
ვით უნაყოფო სიზმარი;

და უსინათლო ოცნებით
იმშვიდებს გულის ძგერასა,
როცა გულ-საკლავ ღიმილით
მოჰყვება ხოლმე მღერასა:

დავბერდი, დავჩაჩანაგდი,
წვერი შემექნა ჭაღარა;
შინ ცოლ-შვილს მოვძულებივარ,
ბატონს ვუნდებივარ აღარა.

ჰაკო.

თაფლო *).

II

თუმცა თაფლო დარწმუნებული იყო, რომ გიგლას მხრივ აქ გასაკვირველი, მოულოდნელი არა იყო-რა, მაინც როგორღაც არ ეჯერებოდა, რომ მამა ასე უგულოდ მოექცეოდა, ერთი სიტყვითაც არა ჰკითხავდა, მოსწონდა ის კაცი, რომელსაც ის თაფლოს საქმროდ აუჩენდა.

მაშინ კი, როდესაც სახლში არა ჩვეულებრივი მოძრაობა, ფუსფუსი და მერე ფაიტონების ხმაურობა შემოესმა, საშინლად გაფითრდა, სული ყელთან მოებჯინა, გული ბუდიდგან ჰვარდებოდა, წამს ყვითლდებოდა, წამს წითლდებოდა. ამ წუთში, რომ შესძლებოდა თაფლოს, ყველა აქ მყოფთ მუსრს გაავლებდა, არავის დაინდობდა. მაგრამ მისმა აგებულებამ ვერ შეუძლო ამ მღელვარებას, თავი ველარ დაიჭირა და ძალა მიხდილი მიესვენა ტახტზე.

„შენ გენაცვალე, ჩემო ძვირფასო პავლე, შენ არ იცი, რა ყოფაში ვარ! რა მეშველება, რა ქვასა და წყალს მივსცე თავი? რაღა პირით შემოგხედო, რა პასუხი მოგცე?—მოსთქვამდა თავის გუნებაში თაფლო,—შეგფიცე მე ჩემს სიცოცხლეში, სანამ პირში სული მიდგა, შენს მეტი მე სხვა არავინ მეყვარება, შენს მეტი მე სხვა კაცის თვალის გამაშტერებელი არ ვიყო მეთქი.—ეს რა მოსდის ჩემს თავს, რატომ ვერ მომიფიქრებია? ეს რა ღვთის წყრომაა? იტყვის: ფლიდი, მატყუარა ყოფილაო. ძალას ვინ ატანდა, თუ არ ვუნდოდი, უარს მეტყოდა, ახლოც არ გამიკარებდაო. მაგრამ რა ვქნა, ჩემო სულის დგმავ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემი რა ბრალია?!... მამაჩემმა ჩიტივით კაკანათში მომატანა, ეხლა საით გავიქცე, რა კლდესა და ღრეს მივატანო?!.. თავი ლამის ამსქდეს, გავგიჟდე, ვერა მომიხერხებია რა!...

ამ ოხვრა-გმინვაში იყო თაფლო, გიგლომ რომ კეკო შემოგზავნა: ქალი მოამზადე, გამოიყვანეო. მაგრამ თაფლო ადგილიდგანაც არ იძვრებოდა. ეს რომ გიგლომ გაიგო, ცოფიანივით შემოვარდა. თაფლოს ყისმათზე ორიოდე მოკეთე დაეტანა აქ. თორემ შავს დღეს უჩვენებდა.

— ადექ, ეეთრივე შე, სულ ძაღლის შვილო, თორემ ამ საათში წიწილასავით ყინწს წავგლეჯამ! ჰა, ადექ, ნუღა მათქმევინებ, დაიღრიალა ბრაზ მორეულმა ჯავრისაგან ნერწყო ხახა გამშრალმა გიგლომ. შენ გეუბნები, ქვეყანა არ შემიყარო, ორიოდე ბუსუსი მქონდა კაცს, სულ ჩამომცვივდა! მეყო, რაც ყელი გამომჭერი, ქვეყანაზე გამომაჭენე, თორემ აი ყელთან მომადგა ჯავრი!

— კარგი, გიგლო, დაბლა ილაპარაკე, ჩაერივნენ გიგლოს ნათესავები, შენ გადი ი ხალხს მიხედე, სირცხვილია, ამისი ჩვენ ვიცით.

როგორც იყო, რის წვალება, ვაი-ვაგლახით გამოაწყეს, მორთეს თვალ-ცრემლიანი თაფლო. ახლა მეორე ოთახში გაყვანა გაუხდათ სახათაბალო. სანამ თითონ გიგლო არ შემოვიდა და ხელ წავლებული არ გაათრია მეორე ოთახში. იმ დრომდის თაფლოს ფეხი ვერ მოაცვლევინეს.

— ჰაი, შე უნამუსო შენა, უჩუმრა, ჩვენს უნებურად უცხო კაცის ტლოშნა კი შეგიძლიან, გესიამოვნება, აქ კი, სანამ კისრის კვრით არ გაგიყვანს კაცი, გემკვლელება ფეხის განძრევა?!... ხო იცი, მე იმას არ მივცემ, ან ჩვენ რაზე გავწვალებ, ან შენს თავს! ჰა, გადადგი ფეხი!—და ერთი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჰკრა ხელი თაფლოს.

გაიყვანეს ნამტირალევი თაფლო, ფერ გამოლეული. ლამპრის შუქზე მოწყენილობა უფრო უორკეცებდა ისეც ლამაზ პირი სახეს დაკალმულ თვალ-წარბს. თაფლოს დანახვასთანვე სასიძოსთან მისულმა ხალხმა გუნებაში ის გაივლეს: „ნეტავი შენს პატრონს! აი სონკა აქამდის უცოლოდ იმიტომ იჯდა, რომ ამ ბედს ელოდებოდაო“.

თვით სონკას გული ხომ მაშინათვე მოაჯადოვა თაფლოს თვალებმა. ქრთამ-მზითევზე ლაპარაკი რაღას ერქვა... ბეჭდის მიცემაზე მივარდა საქმე. ვერას გზით ვერ მოახერხა სონკამ საათის ძეწკვი თაფლოსათვის გულზედ ჩამოეკიდებინა. სონკას ატყუდნენ: „უპრომტოდ“ დანიშვნა არ ვარგაო. სონკამაც დააპირა, მაგრამ თაფლო ისე მოხერხებულად გაუსხლტა ხალხს ხელიდგან, რომ სონკას ტუჩების ტყლაშუნი მხოლოდ ჰაერს-ღა დაეტყო. უხერხულობის დასაფარ-მისაჩქმალავად სიცილ-ხარხარი ასტეხეს, სიძემაც გადაიხარხარა, ვითომც ეცინებოდა, მაგრამ გულში მეწყუკივით დააჩნდა. გაიმართა ლხინი, ქეიფი, თაფლოს თვალებზე-კი გათენებამდის ცრემლი არ გამშრალა.

ამ ამბავმა პავლესაც წელი მოსწყვიტა. ჯერ ლოგინიდგან არც-კი ამდგარიყვნენ კონია და პავლე, რომ თინანიმ ეზოდამვე შესძახა სასიხარულო ამბავით.

— კონი, კონი, ახალი ამბავი არ გაგიათ? წუხელის თაფლო ჩანკაანურ სონკაზე დაუნიშნავთ; გათენებამდის ბუზიკა-სიმღერის ხმა გამოდიოდა იმათი სახლიდამ.

— რაო, რაო?—ყური მოჰკრა პავლემ და გარეთ გამოვარდა,—თინანი, რას ამბობ, ვინ დანიშნულაო?..

— გიგლოს თაფლო ჩანიშნულა წუხელის.

— ჰო? მეც არა ვსთქვი, რასა ლაპარაკობს მეთქი... ამ სიტყვების თქმა კი მოახერხა პავლემ და, რომ არ წაქცეულიყო, მაშინათვე შინისკენ შემოტრიალდა, თითქმის მაგისთანა უმნიშვნელო სიტყვებს ყურს როგორ ვათხოვებო. მაგრამ თქვენს მტერსა და დამაწყევარს, როგორი ვარაყიანის ფერიც პავლეს გადაჰკრა—ისევ ლოგინში გადაგორდა და ერთი მწარე, გულიანად ამოიქშინა, თითქოს ამ ამოხვრაში სიცოცხლე თან ამოატანაო.

„განა ქვეყანაზედ იქნება ჩემისთანა უიღბლო კაცი?!“ გული ყელში ებჯინებოდა, თვალები სასოწარკვეთილების ცრემლებით ევსებოდა პავლეს, მაგრამ თავს იკავებდა—„მეგონა ეხლა-კი ძლივს ღმერთმა მიშველა, მასალა მოზიდული მაქვს, სახლს ავაშენებ, და ჩემს გულის დარდს გვერდით მოვისვამ, ტკბილად ვიცხოვრებ. იმასთან ტანჯული ცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების მცოდნენი ამას სულ უბრალოდ ხსნიან. დღეს ქურდს არავინა ჰყავს მდევარი. თუ ქურდმა ნაპარევის ცხენის წყლის გაღმა გაყვანა მოასწრო, გათავდა; თითქოს სასმალოში გაეყვანოს, გულ-ხელ დაკრებილი რჩება პატრონი.

ძველებური ჩვენი ადათი სხვა იყო, დღევანდელი სხვასა ჰბრძანებს. უწინ ქურდს მთელი სოფელი დაედევნებოდა; თუ ქურდი მდევარს არ დაემორჩილებოდა, მდევარი ტყვიით დაურიდებლად ჰკლავდა. დამორჩილებული ქურდი კი მდევრისა და დაზარალებულ სოფლის ტყვე იყო, რომელსაც ყველაფერი უნდა ეზღო სოფლისათვის, თუ უნდოდა რომ თავი დაეხსნა. დღეს-კი?.. დღევანდელი ამბავი ხომ ყველამ ვიცით...

ს. გუბი სწორედ ყელს წარმოადგენს ქურდების დასახვედრად. ნაპარევი საქონელი, ქუთაისიდგან იქნება, თუ ბაღდათიდგან, საჩინოდგან თუ ქუთაის ქვემო სოფლებიდგან ჩვენამდის, სულ ერთია, უსათუოდ აქ უნდა გამოატარონ, რომ ოდიში გაიყვანონ. ჩვენში ხომ გააძვირეს ცხენი და ხარი, ახლა ამ სოფლებიდგან ერეკებიან ყოველდამე საქონელსა. დამხვედრი-კი, როგორც მოგახსენეთ, არავინ არის... ორის კვირის წინედ ქურდებს დაუხვდა ერთი აქაური აზნაური თათეიშვილი, ათი სული ხარი და ძროხა დაატოვებინა და თვითონ ქურდებიც დასჭრა. მაგრამ წარმოიდგინეთ, სამტრედიის ბაქაულმა ქურდობა თვით ამას დასწამა...

გუშინ ღამ ქურდებს დახვდა სამი-ოდე გლეხის ახალგაზდა, გააფრთხილეს ქურდები, რომ დაჰნებებოდნენ, მაგრამ ამათ სროლა აუტეხეს დარაჯებს. ამათაც ესროლეს და ერთი მათგანი მოჰკლეს, დანარჩენნი უსიკვდილოდ არ ჰნებდებოდნენ. მოკვლით შეეძლოთ ესენიც მოეკლათ, მაგრამ დღესაც არ იციან იმ ერთის მოკვლის „ნება“-კი ჰქონდათ, თუ არა? სანამ უნდა ვერიდოთ და ვუფთხილდეთ ქურდების ჯანმრთელობას, არ იცის კაცმა!.. ქურდებმა დასტოვეს ექვსი ნაპარევი ცხენი და ხუთი ხარი და ძროხა. არ გათენებულიყო, რომ მოკლულის მამა მოვიდა ბანძიდგან (სოფლის „სუდია“ ყოფილა). რასაკვირველია, მისი მდგომარეობა არა სანატრელი იყო და გაბოროტებულს მშობელს ბევრი მიეტევება, მაგრამ იქ დამსწრეთა შორის იყო, სხვათა შორის, ერთი მეგრელი, რომელმაც საჯაროდ დაიკვეხა, რომ მას ადრე იქნება თუ გვიან, ქურდის მკვლელი მოუკვლელი არ გადაურჩება... ჩვენს მდგომარეობას განმარტება, ვგონებთ, არ ეჭირვება... უნებურად მაგონდება არაკი ურიისა, რომელმაც მიწიდგან მიყინული ქვა ვერ აგლიჯა ძაღლების მოსაგერებლადა და განცვიფრებული ამბობდა: „ამ დალოცვილს ღმერთს ეს რა უქნია: ძაღლები აუშვია და ქვა ქე დაუბამს“.

სოფლელი.

ნარკვევი

ჟურნალ გაზეთებიდგან

„Тифлисскій Листокъ“-ის სურათებიან დამატების № 35-ში საყურადღებო ისტორიული ცნობებია დაბეჭდილი „1811 წლის ამბოხებისა და 1832 წლის შეთქმულობის“ შესახებ საქართველოში. ავტორი წერილისა ბ-ნი ივანენკო აი, რასა სწერს:

„საქართველოსა და რუსეთის კეთილს ურთიერთობას ჩრდილავს მხოლოდ კახეთის ამბოხება 1811 წლისა და მთავრობის წინააღმდეგი ქართველთა შეთქმულობა 1832 წ. პირველი ჩვენისავ შეცდომებისა და სუსტის მართვა-გამგეობის შედეგი იყო, მეორე—რამდენისამე ქართველ თავადის პირადის უკმაყოფილებითა და პოლონელთა აჯანყების ზეგავლენით გამოწვეული. მაგრამ ორთავემ დიდი ხანია შევინანეთ ეს: ჩვენ საკუთარი სისხლითა და მილიარდებით, საქართველოს საკეთილდღეოთ დახარჯულით; ქართველებმა კიდევ თავისის ერთგულობითა და სამსახურით. ჩვენცა და ქართველებსაც შეგვიძლიან ეხლა ეს სამწუხარო წარსული ისე გავიხსენოთ, რომ გული არავის გვეტკინოს, არ შევგრცხვეს.

მუდმივი ომები გარეთ და თავდასხმანი ლეკებისა, რომლებიც ტფილისის არე-მარემდეც-კი თარეშობდნენ, ჟამი და შავი ჭირი, რომლებმაც ათი ათასობით ხალხი იმსხვერპლა; მისვლა-მოსვლის გაუქმება, მოუსავლობა და ვაჭრობის დაცემა: ფუთი ფქვილი 2 მან. იყიდებოდა, ხოლო შაქარი გირვანქა—1 მან. 80 კაპ., ყაზარმების უქონლობა და ამის გამო ჯარების სახლებში ჩაყენება, რაიცა უმეტესს შემთხვევაში მცხოვრებთ მტრებზედ მეტად აწუხებდა და ანადგურებდა ხოლმე; არა თანაბარი გაბეგვრა მცხოვრებლებისა ურმებითა და კაცებით, რასაც შედეგად ბევრი სოფლის სრულიად გადატაკება მოჰყვა; ინტრიგები და სიძულვილი სამეფო სახლობისა, უკმაყოფილება და დრტვინვა-ჩივილი თავად-აზნაურობის უმეტესობისა, რომლებიც ჯერ კიდევ ბატონიშვილებისაკენ მიიწევდნენ და დაკარგულს თავისუფლებას მისტიროდნენ; საქართველოს უმაღლეს მოხელეთა ბოროტ-მოქმედებანი, რომლებიც მთელს ქონებას იძენდნენ აქ და ლოთობა დაბალის მოხელეებისა, რომლებსაც ღამე ყარაულებს უყენებდნენ და დღისით თვალ-ყურს ადევნებდნენ, ახასიათებს იმ დროს, როდესაც ციციანოვსა, გუდოვიჩსა და ტორმასოვს მოუხდათ საქართველოს მმართვა და რომელიც მარკიზს პაულუჩჩისა ჰხვდა წილადა.

ჯერ მმართებელს გარემო რიგიანად თვალი არ მიმოევლო და თავისის მომავალ მოღვაწეობის პროგრამა არ დაესახნა, რომ კახეთში ამბოხებამ იჩინა თავი. თითქმის მთელის თელავისა, სიღნაღისა და დუშეთის მაზრის მცხოვრებლებმა იარაღი აისხეს. გამძვინვარებულმა ბრბომ ხალხისამ ამოსწყვიტა რამდენიმე ასი ჯარის-კაცი, სოფელში ჩაყენებული, მიიტანეს იერიში სიღნაღისა და თელავის სიმაგრეებზედ და სიღნაღში ამოხოცეს ყველა მოხელენი, რომლებმაც-კი ამ სიმაგრეში შეაფარეს თავი. თავდაპირველი მოსაზრება მარკიზის პაულუჩჩისა იმ პოლიტიკურ გარემოებათა გამო, რომელმაც ამბოხება გამოიწვია, არ გამართლდა: ამბოხება იყო შედეგი იმ აღმაშფოთებელ უსამართლობისა და შეურაცხყოფისა, რომელსაც სამართალსა და მართველობას მოკლებული მცხოვრებნი რამდენისამე წლის განმავლობაში ითმენდნენ.

რუსეთის ბატონობის პირველი წლებიდგანვე ადგილობრივ მცხოვრებლებთან ჯარების დამოკიდებულებამ არა ნორმალური ხასიათი მიიღო: „ოფიცრებს თავის ნებაზედ გამოჰყავთ ურმები და ცხენები და არავის რას აძლევენ, მიწის მომქმედთ ანადგურებენო“,—სწერდა 1802 წ. გენერალი ლაზარევი თავისს ბრძანებაში ჯარების მიმართ.—„ჯარის-კაცები შეურაცხჰყოფენ მცხოვრებლებს, სტაცებენ საქონელს, ფრინველს, ხილს, უოხრებენ ბაღებსა და ბოსტნებს, ქვევრებიდან ღვინოს უღევენ და მერე მიწით უვსებენ. შარშანაც ვითხოვდი, ეს ბოროტება მოესპობილიყო და ეხლაც ვაცხადებ, რომ ამიერიდგან ოფიცრებს დავაპატიმრებ და ჯარის-კაცებს კიდევ სამსახურიდან დავითხოვო“,—სწერდა იგი. მაგრამ ბოროტებამ არ იქნა, არ იკლო, ციციანოვის დროიდგან ერთი ათად იმატა. ჯარების ბარგისა, საგზლისა და იარაღის გადასაზიდად ისე წინდაუხედავად და უანგარიშოდ გამოჰყავდათ ბეგრის ურმები და ცხენები, რომ პატარა საქართველოს ყოველწლივ მშვიდობიანობის დროსაც-კი, 112 ათასამდე დღიური ბეგრის ურემი და 100 ათასამდე ცხენი ეკისრებოდა თავისის კაცებით. და ამ ბეგარაში თითქმის მთელის თვეობით ერთს ადგილას დგომის დროსაც-კი, არას აძლევდნენ; ანგარიშობდნენ მხოლოდ ბარგის გადაზიდვას $^{2}/_{15}$ კაპ. ფუთსა და ვერსზედ. შემდეგ-კი, პასკევიჩის დროს, როცა ბეგრის საქმე რიგზედ მოეწყო, 8 ათასზედ მეტი ურემი არა სჭირდებოდათ, თუნდაც ომის დროს.

ჯარებისათვის საჭირო სურსათს მცხოვრებლებს ართმევდნენ თითქმის ჩალის ფასად; მაგრამ ამასაც არა ჰკმაროდნენ და სურსათის შემსყიდველი მოხელენი ხშირად წონაში ატყუებდნენ, ქრთამს იღებდნენ. მიუხედავად ამისა, ყოველგვარს საჩივარს მცხოვრებლების მხრივ ისრე უცქეროდნენ, როგორც ამბოხებასა და სიძულვილს რუსების მიმართ. 1811 წელს დიდი მოუსავლობა იყო, ფუთი ფქვილი 3 მან. მეტადა ფასობდა; ხალხი ბალახ-ბულახითა და ბალახის ძირით იკვებებოდა, ჩვეულებრივად პურის გადებაზე ხალხმა უარი განაცხადა. მარკიზი პაულუჩჩი, როგორც არ მცოდნე ხალხის ნამდვილ გაჭირვებისა, „ისპრავნიკებისა“ და სურსათის შემსყიდველ მოხელეთა მოხსენებამ მოატყუა, და უბრძანა ჯარები ჩაეყენებინათ ყველა იმ სოფლებისათვის, რომლებმაც პურის გადებაზედ უარი განაცხადეს. ეჭვი არ არის, ადვილი წარმოსადგენია, როგორ ისარგებლებდნენ ამ ეგზეკუციით დამშეულნი ჯარის-კაცნი! გლეხის ოჯახში პურს რომ ვერსად შოულობდნენ, უხოცდნენ საქონელსა და ფრინველს და ყველა ამას თან აყოლებდნენ ღვინოს. ამასაც რასაცა სვამდნენ, სვამდნენ, რასაც არა და, უწყალოდ აქცევდნენ. დიდ-ხანს ითმინა ეს შეურაცხყოფა და შევიწროება ხალხმა, მაგრამ ბოლოს ვეღარ შესძლო. „რას შვრებით! გონება ეგრე რამ დაგიბრმავათო!“ — სწერდა მათ პაულუჩჩი—„ან იქნება ქრისტიანობის სარწმუნოება დაივიწყეთ და ვერა ჰხედავთ, რომ ფიცის გამტეხთა დამსჯელი მარჯვენა უფლისა მზად არის თავს ზარი დაგცეთ? დიდის ჯარით თვითონ მოვდივარ თქვენ წინააღმდეგ; მახვილი ჩემი შეამბოხეთა ამოსაწყვეტად მზად არის“. ამბოხებულთ ამაზე უპასუხეს: „წიგნის საქმეში გამოცდილნი არა ვართ და ვერ გაგვიგია, რას იწერებით. ჯვარს უარს არა ვყოფთ და ხელმწიფეს არა ვღალატობთ, მაგრამ, რაც ხელმწიფემა ჰბრძანა, თქვენ ის არ შეასრულეთ. ბრალიანთა და უბრალოთა ხოცვითა და ჩამოხრჩობით თქვენვე მოგვეცით მიზეზი, მაგრამ ფიცის გამო ყველას ვითმენდით. უკანასკნელს ლუკმას შუბებით გვართმევდით და გვეუბნებოდით, რომ ჩვენ ბალახით გამოვკვებილიყავით. ბეგარამ ხარი აღარ შეგვარჩინა და ურემი; კოდ პურში 1 მან. 20 კაპ. იძლეოდით და ვისაც არა ჰქონდა, იმავე კოდში 4 მანეთს ართმევდით. თხოვნა მოგართვით და ხელმწიფის ყურამდე არ მიაღწიეთ. ჩვენ ერთმანეთთან ვერ მოვრიგდებით; სულ ერთია, ეხლაც მკვდრები ვართ და დღე, დავიხოცნეთო“.

ამბოხება 1812 წელს ჩააქრეს, მარტში, ძალ-მომრეობით. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ გლეხები მართლაც არას აზვიადებდნენ. ბეგარამ, მართლაც, უზომოთ დიდმა ტვირთმა და შორის მანძილმა გლეხთა უმეტესობას ხარები ამოუწყვიტა. ჯარის-კაცთა და ოფიცრების ბოროტ-მოქმედებას კიდევ მარტო გლეხთა ნივთიერს განადგურებას არა კმარობდა; ხშირად დედაკაცებს ქმრის თვალ-წინ აუპატიურებდნენ; ამაღელვებელს მექრთამეობასა და გაჭიანურებულ-დაგვიანებულ საქმის გარჩევისა გამო ხალხი სამართალს სრულიად მოკლებული იყო. აჯანყებული გლეხები, ჩვენი ერთგული მეტროპოლიტები და მარშლები — ყველანი ერთსა და იმავეს ამტკიცებდნენ; თვითონ მარკიზი პაულუჩჩიც-კი კახეთის ამბოხებას აი, რას აბრალებდა: „ამბოხება მიზეზია მხოლოდ რუს მოხელეთა უზნეობისა და აქაურ მცხოვრებთა ფიცხი ხასიათისა, რომელთა ზნე და ჩვეულებაც ჩვენისაგან ბევრად განირჩევა; მიზეზია უზომოდ მძიმე ბეგრისა და ამ მხრივ შეუფერებელი, უადგილო, მავნე განკარგულებისა; სამართალში საქმის გარჩევის გაჭიანურებისა, სურსათის შემსყიდველ მოხელეთა გაიძვერობისა და მექრთამეობისა, რომელნიც ხალხს მძიმე ტვირთად დასწოლიან და ხაზინას ერთგულად სძარცვავენ მას შემდეგ, რაც თავ. ციციანოვი გარდაიცვალაო“.

სიმართლე მოითხოვს, აღვიაროთ, რომ კახეთის ამბოხებაში მარკიზს პაულუჩჩის ყველაზედ ნაკლებ მიუძღვის დანაშაული, მმართვა-გამგეობის პირველი დღიდგანვე საჭირო ღონისძიება იხმარა, რომ ბეგრის საქმე და პურის გადებისა რიგიანად მოეწყო, ბოროტმოქმედებანი შეემცირებინა და სურსათის შემსყიდველ მოხელეთა „გაიძვერობა“ აელაგმა. გამოუცხადა ხალხს, რომ ყოველგვარს საჩივარს უსამართლობისა და შეურაცხყოფის შესახებ მე თვითონ გავარჩევო. ხელმწიფის წინაშე წარგზავნილს პირველსავე რაპორტში სწერდა იგი, რომ მოხელეთა ბოროტმოქმედებას უკიდურესობამდე მიუღწევია და შეიძლება ამას ხალხის მხრივ დიდი დელვა მოჰყვესო. და ამბოხება მართლაც იმის დროს მოხდა, თითქმის იმიტომ, რომ თავისის მზრუნველობით ხალხს უკეთესის იმედი გაუღვიძა. გენერალი ტორმასოვი დიდად ნიჭიერი კაცი იყო; ის რეზოლიუციები, რომელსაც ტორმასოვი აწერდა ხოლმე ქაღალდებს, სწორედ გვაკვირვებენ, რომ ესოდენი შრომა გაუწევია და ყურადღება გამოუჩენია. მაგრამ ამავე დროს იქამდის მიუდგომელი იყო, რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლსაც-კი არ შეეძლო მის წინ გულახდილად ელაპარაკნა; ამის გამო საქმის ნამდვილს გარემოებას ხშირად ვეღარ იგებდა“.

რაც შეეხება მთავრობის წინააღმდეგ 1832 წლის ქართველთა შეთქმულობას, ბ-ნის ივანენკოს სიტყვით, ეს თურმე ხალხისა, ზოგიერთა თავადიშვილებისა და ბატონიშვილთა უკმაყოფილებაზედ აღმოცენდა. ყველაზედ თვალსაჩინო მონაწილე შეთქმულთაგან 30 წლის თავადი დიმიტრი იყო, შვილი ბატონიშვილის იულონისა, რომელიც თავისსთავს ბატონიშვილად აღიარებდა და რუსეთმა-კი მხოლოდ უგანათლებულესობის ხარისხი მიანიჭა. თავადმა დიმიტრიმ სახელმწიფო სამსახურში შესვლაცა სცადა პირველად, მაგრამ კოლეჟსკი რეგისტრატორის ხარისხის მიღებამ დიდად შეურაცხჰყო და მაშინვე თავი დაანება. სამშობლოს განთავისუფლების განზრახვამ თავადის დიმიტრისამ მალე მთელის პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდობის ყურადღება აქეთკენ მიაპყრო, ყველა მიიმხრო.

შეთქმულობის უმთავრესი ხელმძღვანელი 23 წლის პორუჩიკი ელიზბარ ერისთავი იყო, რომელმაც პოლონელთა ამბოხების შემდეგ პირდაპირ მოიწვია ქართველობა ასაჯანყებლად. შეთქმულობაში, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდა 17 წლის პოეტი გიორგი დავითის ძე ერისთავი.

შეთქმულობას მოკლედ ივანენკო ასე აგვიწერს:

„1832 წ. ელიზბარ ერისთავმა მიიმხრო ერთი მუჭა თავადიშვილებისა, რომელთაგანაც თვითოეულმა რამდენიმე შეიარაღებულ კაცის გამოყვანა აღუთქვა და შეადგინა უცნაური და უგუნური „განკარგულება ამბოხების პირველ ღამის შესახებ“. რადგანაც სწორედ იმ ხანებში (დეკემბერში) თავად-აზნაურთა კრება იყო დანიშნული, განზრახვა ჰქონდათ თავად-აზნაურობის სახელით ბალი გაემართათ, მიეწვიათ ყველა რუსი მოხელენი და ამოეწყვიტათ; ამოეწყვიტათ არა მარტო რუსები,—ქართველებიც, ვინც-კი ამათგანი რუსებს ხელს წაახმარებდა. შემდეგ ზარის რეკით ეუწყებინათ ხალხისათვის და საქართველოს გასათავისუფლებლად აეჯანყებინათ. დანარჩენი თავის თავად გაკეთდება, რადგანაც თითქმის ყველა უკმაყოფილო და აღელვებულიაო“...

მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს, რადგანაც ერთმა უმთავრეს შეთქმულთაგანმა, თავადმა ევსევი ფალავანდიშვილმა-ძმამ გუბერნატორისამ შეთქმულნი გასცა.

⁂

„ცნობის ფურცელი“ დრტვინავს და მრისხანებს კ. მაყაშვილის ლექსის გამო, რომელიც გაზეთმა პასკვილად მიიჩნია.

შეუძლიან რედაქციას ყველა დასაბეჭდს წერილში ვისიმე კერძო კაცის პირადობა ალ-

---

ბაც ჩემთვის ია-ვარდ მოფენილი იქნება-მეთქი, მაგრამ დახედეთ, რა რიგათ ჩამშხამდა, ისედაც გამწარებული სიცოცხლე... რაღა სასიცოცხლო ვარ, უიმისოდ გულ-მოწყვეტილი?! სონკაზე გამცვალა თაფლომ?!.. რა ვუყოთ, რომ მე საწყალი ვარ და ის მდიდარი. აკი მეფიცებოდა: მჭადს ავფშრუკავ იმით გამოვიკვებები და შენ-კი არ მოგშორდები ჩემს სიცოცხლეშიო... ეჰ, ღმერთმა მშვიდობა მისცეს, ჯანი გამვარდეს, ალბად ეს მეწერა. მაგრამ არა, თაფლო სხვისა ხელში დავინახო?!. ოჰ, რა საშინელებაა!..“ საზარლად გააკანკალა პავლეს, კბილებმა ძაგა-ძუგი დაუწყეს. „არა, მე თაფლოს ცოცხალის თავით სხვისა ხელში ვერ ვუყურებ. შემომაკვდება, რამე უბედურებაში გავეხვევი... არა, უნდა წავიდე სადმე, გადავიკარგო. დედა-ჩემი, თორემ... რაღათ მინდა სიცოცხლე. ვიცოცხლებ, დედი ჩემს... ამ სოფელში ბედნიერად ცხოვრების ღირსი არ გამხადა... ალბად... მაგრამ არაფრის იმედი აღარა მაქვს... რაღათ უნდივარ ეხლა... თაფლომ მდიდარი საქმრო ჩაიგდო ხელში და...

ამ გადაწყვეტილებით პავლე გამოეთხოვა თავის გულ-ჩათუთქულ დედას, რომელიც ფეხებზე ეხვეოდა შვილს, არ უშვებდა..... პავლემ თავისი არ დაიშალა.

— სად მიხვალ, ჩემო ერთად ერთო ნუგეშო, ჩემო მალამო, ჩემო პატრონო, დამმარხველო—ჯერ ყელი გამომჭერ და მერე საითაც გინდა, წადი, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო სულის დგმავ!...საბრალო ხმით გაჰკიოდა უპატრონოდ მიტოვებული, მეხ-დაკრული კონია...

III

— სალამო მშვიდობისა, თაფლო, რას ღაფიქრებულხარ, რამ დაგაღონა, მიესალმა თინანი გარეთ ეზოში სკამზე ჩამომჯდარ თაფლოს, რომელიც შუბლ-შეკრული, დასევდიანებული ფიქრებში გართულიყო.

— ისეთი მშვიდობა ჩემს ავად მახსენებელს, შენს დუშმანს მისცეს, როგორ მშვიდობა-ყოფაშიაც მე ვარ ჩავარდნილი მამი ჩემის ხელში. გინდა, თუ არა, შენი დანიშნული უნდა გიყვარდეს, ეალერსოო. გამწარებული მაქვს სიცოცხლე იმათის ჩიჩინით. თვალიც კი გამოჰქუტვია.—როგორ არა?—სულში ჩაიძვრენ. აბა ქალო, როგო მოეალერსო, გული არა მთხოვს, დასანახათაც კი მებეზრება.—ამ სიტყვებზე თაფლოს პავლე მოაგონდა, რომლის შორს წასვლამაც თაფლოს მთლად მოუქანჩა ისედაც ნატკენი ჩვილი, სათუთი გული.—რო გავიგონებ ხოლმე იმის ცხენის ფეხის ხმას, განაგრძო თაფლომ წინანდელი აზრის მსვლელობა, გულში ლახვარი მეცემა ხოლმე; დავღუნდები, თითქოს გულში რაღაცა ჩასწყდაო.

— გამიგონია, ქა, ეგეთი ძალათ მაცხონებაო?!.. ძალათ როგორ უნდა შემაყვარონ ადამიანი.....

— ნეტავი როგორმე მაგათ თავს დამახწივა და თუნდა ჩემი დღენი შუაზე გაყოფილიყო, ამოიკვნესა ტირილის ხმაზე თაფლომ.

— ქალო, თუ კი მაგრეც არის საქმე, რატო პირდაპირ არ გამოუცხადებ შენს დანიშნულს, ცოლად ვერ გამოგყვებითქო.

— მაგის მეტები კი ვუთხარი, მაგრამ მამაჩემი გულს უკეთებს, არ იცი იმის ამბავი?!.. „სანამ გამოჰქნიან, ხამმა მოზვერმაც პირველად ეგრე იცისო, მაგრამ ერთხელ-ორჯელ რომ შეაბამენ უღლის თავში, კუდს ძლივს-ღა ათრევსო“... ახ, რა ვქნა. მამაჩემს საით გავექცე, საით გადავიკარგო, უჩემოდ რად გაიპარა პავლე და მეც თან არ წამიყვანა—თუნდა ჯანაბაში წაეყვანა ჩემი თავი, მამაჩემს კი დავხსნოდი...

— ქალო, შენმა დანიშნულმა კაცს თავზარი დასცა, რეტიანივით მაშინათვე სადღაც ნანაზოგად გადაიკარგა. მხოლოდ დღეს მოუვიდა კონიას იმისგან ფული და წერილი. იმასაც იწერება სად, რა ალაგას არის. ეტყობა, სულ შენ გონებაშია: „მე ის აზრი მკლავს, ნაღველი მახრჩობს, რომ ჩემი თაფლო სხვას ეკუთვნის, იმისი თვალები ალერსით სხვას უყურებენ, იმისი ვარდის ფერი ტუჩებიდგან სხვამ უნდა გაიგოს სანუგეშო სიტყვებიო.“

— თინანი, შენ გენაცვალე, მიშველე რამე!.. მე ვერ მომიხერხებია. თავის მოკვლა ვერ გამიბედნია სული ეშმაკს, როგორ მივცე! გაქცევისაც მეშინიან, საით გავიქცე, მამაჩემი მომძებნის, ცოცხალს არ გამიშვებს, არ გამაძღებინებს.

— სიკვდილს შენთან რა ხელი აქვს, დასწყევლა სამას სამოც და სამმა წმინდა გიორგიმ!

— მაშ რა ვუყო, როდემდის უნდა ვიტანჯო?!...

— ჯვარს ნუ დაიწერ, ქალო...

— მე რა ძალა შემიძლიან?.. ჩემს ცრემლებს არ უყურებენ, ჩემს სიტყვებს ძაღლის ყეფადაც არ აგდებენ, განა ნიშნობა კი მე მკითხეს?. ადგებიან და ეხლაც ძალად მომრთავენ, წამათრევენ... ღმერთო!!...

ჩამავალ მზეს თვისი უკანასკნელი დღე მოკლე სხივები კავკასიონის თოვლ-აღებულ, ლურჯ ზოლად გაწოლილი მთა-გრეხილისათვის დაეპკურებინა, საამურად ალიპლიპებდა. ამ ლაპარაკსა, წუხილსა, სასოწარკვეთილების გულის ღონებაში იყო თაფლო, რომ სონკამ თავისი ოც-თუმნიანი, თეთრი იორღა ცხენი შემოაჭენა ეზოში, თაფლომ რა მოჰკრა თვალი სონკას ერთი, კი შესძახა:

— მშვიდობით თინანი, მომიკითხე კონია ჩემს მაგიერ. თუ არ დავემალე მაგ ოხერს, ყელზე ჩამომეკანჭურება,—და ამ სიტყვებით თაფლო გვერდის კარებიდგან სახლში შექანდა.

— მოიცა, თაფლოჯან, სად მირბიხარ? როგორი საჩუქრები მოგიტანე!... მიაძახა აივანზე ამავალმა სონკამ.

სონკად წოდებული სიმონკა დურაჯიშვილი, სხლარტი, მაღალი, აწლურტული შეხედულების კაცია. იმის ნაყვავილარ, თხელის წვერ-ულვაშით შემოსილ სახეზე და მუზმუზელა, ცმაკუნა, აქეთ-იქით მაცქერალ თვალებზე შეატყობს მნახველი, რომ ის ძრიელ ეშმაკი, მოხერხებული, ქვეშ-ქვეშა იქნებაო. როდესაც შავ თვალწარბს შეიჭმუხნის და ვისმე დააშტერდება, გეგონებათ, ნიშანში ამოღებული ადამიანის განადგურება, გადასანსვლა უნდაო.

პატარაობაში ძლიერ გულ-ჩვილი იყო სონკა.—ტოლ-ამხანაგების უბრალო ხუმრობა, დაცინვა საკმარისი იყო,—ატირებული სახლში გაქცეულიყო და ერთ კუნჭულში მიმჯდარს სლუკ-სლუკით აეკლო იქაურობა. ამან გულჩათხრობილი, მიუკარებელი ხასიათი გაუხადა სონკას. თუ გარეშეები სტუქსავდნენ, სამაგიეროდ, ამასაც ყველანი სძულდნენ, გარდა შინაურებისა. გულში გავლებული ჰქონდა, არავის ჩამორჩენოდა, თავისის სოფლელთა თვალში თავი ესახელებინა.

მამა პატარაობაშივე მოუკვდა სონკას, იმის დედას სოფიოს იმდენი შეძლება არა ჰქონდა, წვრილშვილი გამოეკვებნა და სონკას სკოლაში გაგზავნას ვინ იფიქრებდა, თუმცა კი სწყუროდა სწავლა. მოჯამაგირედ დაყენება დაუპირა დედამ სონკას, მაგრამ ერთს მშვენიერ დღეს სონკა ერთ თავიანთ სოფლელ მედუქნეს ქალაქში გაჰყვა. ამანაც მადლის გულისათვის ნაცნობ სირაჯთან დააყენა შინა ბიჭად. ნათლით შემოსილი, სირაჯის ცოლი ნათელა, მირონ-ცხებული ადამიანი აღმოჩნდა, სონკას შვილივით ეპყრობოდნენ. სონკას ბედზე, სირაჯი გიჟუა ლიპის სიმსუქნესთან ჯიბე მსუქანიც აღმოჩნდა, ღვინოების სყიდვა-გასყიდვის საქმე თან-და-თან უფრო გაჩაღდა.

გაიზარდა სონკა. გამჭრიახმა გიჟუამ შეატყო, რომ ცქვიტი სონკა მას მარჯვენა ხელობას გაუწევდა. ცოტა ხანს გაჩერია სოფლებში სონკა, მერე კი თვითონ დუქნიდგან ფეხსაც აღარ იცვლიდა. ღვინოებს სონკა ყიდულობდა და ეზიდებოდა. თუმცა გიჟოს სიკვდილის შემდეგ იმისმა მემკვიდრეებმა სონკას დუქანზე ხელი ააღებინეს, უარი უთხრეს, მაგრამ სახლში სონკა ჯიბე-გატენილი მოვიდა, ვერცხლის ქამარ-ხანჯლითა და ოქროს საათით მორთული.

დიდი ხანი არ არის, რაც სოფლად დატრიალდა, მაგრამ ამ მოკლე ხანში ამაზე რიგიანი ვაჭრობა, აღებ-მიცემობა არავისა აქვს. მოსვლისთანავე ძველი ქვიტკირის ჩამონგრეული და ნახევრად ქარისაგან ჩალა-გადახდილი სახლი დააშლევინა და მის ალაგას ერთი უზარმაზარი ორ სართულიანი შენობა წამოჭიმა, სადაც ოთახებს გარდა მარანი, ბეღელი და თავლა იყო მოთავსებული. ამ სოფელში ისეთი რა იქნებოდა გასასყიდი, რომ სონკას ხელში არ გაევლო, ამას არ ეყიდნა, ფული არ მოეგო. ქერებს ესა ყიდულობდა, ღვინოს, თამბაქოს. უამისოდ მაზანდას ვერავინ გასტეხავდა. ამ სოფელში ვაჭრობის მეფე ეს იყო. წლის მოსავალში ბეებსაც არიგებდა გაჭირვებულ ხალხზე წინდაწინვე. ქალაქიდამაც მოჰქონდა სოფელში გასასყიდად ვენახის შესაწამლი მანქანები, გოგირდი, შაბიამანი, რკინის გუთნები, რკინეულობა და სხვა, რაც სოფელში პირველ-სახმარებელი საქონელი დასჭირდებოდათ.

ესე იყო ყელთამდის მოყრილი, ფულებით ასუყებული სონკა. თავისი ვაჭრობა, დონეზე ჰქონდა დაყენებული, ამ მხრივ ამას აღარა აწუხებდა-რა. იყო თავისათვის უდარდელათ, ცოლის შერთვა აღარც კი აგონდებოდა, რომ ეშმაკურ-ქაჯურათ ამ ორის კვირის წინად ცხენით მომავალმა სონკამ მოჰკრა თვალი თაფლოს. როდესაც ეს, სალამო ხანს აივანზე იყო გადმომდგარი და ნაღვლიანად საითკენღაც გაიყურებოდა. თაფლომ ვერც კი შენიშნა, რომ სონკამ სახლის კუთხეში ცხენი შეაყენა, აღარ უნდოდა აქედგან ფეხი გადაედგა, თვალი მოეშორებინა. ხორბლის ფერი, სანდომით, ეშხით სავსე სახე, მწვავე ფიქრებს სიტურფით მოელიცლიცებინა, მის შემხედავს განშორება გულს მოუკლავდა, ჩაუთუთქავდა.

(შემდეგი იქნება.)

მოაჩინოს, ყველა სცენასა და მოთხრობაში გამოძებნოს და გამოიცნოს, არის ვისიმე კერძო ცხოვრება გამოხატული? გონება მუდამ იჭვიანი უნდა ჰქონდეს კაცს და ქვეყნის ჭორები ზეპირად უნდა იცოდეს, რომ დარწმუნებით სთქვას: ესა და ეს მომქმედი სცენისა ან მოთხრობისა უთუოდ ესა და ეს პეტრეა ან პავლე და მოთხრობაც მხოლოდ მათ „სათრეველად“ არის დაწერილიო. ამისთანა გამოცნობა რომ ყოველთვის უსაფუძვლოა, ეხლანდელი შემთხვევაც ამტკიცებს: კ. მაყაშვილის სცენის ერთი და იგივე მომქმედი ზოგს ერთი ჰგონია და ზოგს მეორე.

არა სჯერა „ცნობის ფურცელს“—აბა თავისის მეუღლის „მოამბის“ ორი-ოდე მოთხრობა მოიგონოს, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც დაიბეჭდა და რომელშიც მრავალმა მოცლილმა მკითხველმა ზოგიერთი ჩვენი მოღვაწე იცნო.—არ ვარგა ახალგაზდა გაზეთისთვის ასეთი გულმავიწყობა,—სუსტი მეხსიერება სიბერეზედ უარესია.

მოთხრობაში კერძო კაცის ცხოვრების გამოცნობა ზოგჯერ თუ ადვილი არ არის, პასკვილისა და სატირისა ერთმანეთში გამორჩევა რედაქციამ დიალაც უნდა იცოდეს: მაგალითად, ყველასაგან ცნობილის მოღვაწის სახეს რედაქცია რომ შეუცვლელად, ფოტოგრაფიულად გაზეთის ფურცელზედ გადიღებს და თვალსაჩინო ნიშნებით, ბანქოთითა და ქალებით, მისს კერძო ცხოვრებას ჩირქს მოსცხებს და მისს პირადს ზნეობას შელახავს—მაგას რა დაერქმის, პასკვილი თუ სატირა? მაგისთანა „მხატვრობის“ ტალახი ვისლა უნდა დაესხას თავზედ?.

რუსეთი

— უწმ. სინოდი განმარტავს, რომ სასულიერო უწყების გამგეობის ქვეშ მყოფ საზოგადოებათ, ძმობათ, თავ—შესაფარ სამადლო სახლებსა და სხვა ამგვარ დაწესებულებათ უფლება აქვთ საკუთრებად შეიძინონ ხოლმე უძრავი ქონება და ამისი ნება-რთვა უმაღლესად არ გამოითხოვონ, როგორც აქამდის იყოო.

— განზრახვა აქვთ აწ არსებული წოდება „გემების ამშენებლისა“ და „მისის თანაშემწისა“ „გემების ინჟენერის“ სახელზედ შესცვალონ. განზრახვა აქვთ ამასთანავე ჯამაგირები მოუმატონ და გემების კარგად აშენებისათვის შესაფერი „ჩინებიც“ მისცენ ხოლმე.

— მომავალის წლის დამდეგს დაიწყებს მუშაობას საგანგებო კომისსია, რომელსაც ფაბრიკებსა და ქარხნებში მომუშავე მცირეწლოვან მუშათათვის სავალდებულო სწავლების განხილვა აქვს დავალებული. კამისიაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი იქმნებიან არა მარტო მთავრობის დაწესებულებათა წარმომადგენელნი, არამედ სამრეწველო და სატეხნიკო დაწესებულებათა და საზოგადოებათაგანაც.

— სრულიად რუსეთის ბეითალთა კრებას, სხვათა შორის, აზრადა აქვს, განიხილოს რა ნაირად უნდა მოეწყოს საქმე, რომ გლეხთა შორის ბეითლობის შესახებ ადვილად შესათვისებელი ცოდნა გაავრცელოს.

— სახალხო ჯანმრთელობის დამცველს საზოგადოებას დაუდგენია, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ჰიგიენისა, აღზრდისა და განათლების შესახებ სრულიად რუსეთის კრება მოხდეს.

— ლაპარაკია აძრული, რომ რკინის გზის წესები, რომლებიც-კი მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანას შეეხებიან, გადასინჯულ იქმნენ.

— საერო განათლების სამინისტროში დღემდის რამდენიმე შუამდგომლობა წარუდგენიათ, რომ რუსეთში პირველ-დაწყებითი სავალდებულო სწავლება იქმნეს შემოღებული.

— სალიტერატურო ნაწარმოებთა საკუთრების შესახებ სახელმწიფო საბჭოში კანონ-პროექტი წარუდგენიათ, რომელიც, სხვათა შორის, სალიტერატურო ნაწარმოებთა გადაკეთების საგანსაც შეიცავს.

უცხოეთი

სამხრეთ-აფრიკის ომი. ინგლისურ ოფიციალურ გაზეთში კიტჩენერის მოხსენებაა დაბეჭდილი პოლკოვნიკის დამარცხების შესახებ ტაპელსკოპთან. „დამარტი წინ გაეშურა, სწერია მოხსენებაში, ბურების რაზმის შესაჩერებლად, რომელიც რატ-სპრუიტზედ აპირებდა გადასვლას. ამ დროს მან ცხენოსანნი დაინახა, ეგონა, ჰამილტონის იომანრები არიანო და ყურადღება არ მიაქცია. ცხენოსანნი, ესკადრონებად დაყოფილნი, ერთ ადგილას იდგნენ; მოულოდნელად შეიძრნენ და ინგლისელებს დაეტაკნენ. ცხენოსანნი ბურები აღმოჩნდნენ. ამოსწყვიტეს მთელი ჩვენი რაზმი, ოთხის კაცის გარდა“. კიტჩენერი ორ სხვა დამარცხების შესახებაც იუწყება. ბურებმა აქაც სავსებით გაიმარჯვეს. ჩვენის ზარალის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოგვსვლიაო, სწერს კიტჩენერი. მაგრამ დევეტის უკანასკნელმა გამარჯვებამ ტვიფონტეინთან ყველა სხვას გადააჭარბა. ბურების მამაცმა სარდალმა 400 ინგლისელი ჩაიგდო ტყვედ. ამ დამარცხების გამო ინგლისური გაზეთები საშინლად ჰკიცხავენ კიტჩენერს. შავმა ქრისტიანემ (დევეტმა) ცუდი დღესასწაულები მოგვიმზადაო, ამბობენ თურმე ინგლისელნი.

ინგლისი. უკანასკნელმა ამბებმა, სამხრეთ-აფრიკიდგან მიღებულმა, სრულიად დაუბნია დავთრები ინგლისელებს. ისინი სიხარულით და აღტაცებით ემზადებოდნენ შობის დღესასწაულებისათვის, ვინაიდგან ამ დღესასწაულებამდე მიღებული ამბები სასიხარულო და სასიამოვნო იყო მათთვის. მახდისტების დამმარცხებელი და ომდურმანის ამღები, გამოჩენილი კიტჩენერი, მალი-მალ ატყობინებდა მთავრობას, ჩვენი საქმე სამაგალითოდ მიდის, აქ ბურები დავამარცხეთ, იქ ტყვეები ჩავიგდეთ ხელთ, სხვაგან სურსათი წავართვით და თოფ-იარაღი მოვტაცეთო. ხმაც-კი გავრცელდა: ბურებს თათბირი აქვთ იმის შესახებ, დაჰყარონ იარაღი და დამორჩილდნენ ინგლისელებს, თუ არაო. ასეთ განცხრომაში იყვნენ ინგლისელები, როდესაც სწორედ შობის წინა დღეებში სიმწუხარო ამბები ზედი-ზედ დაატყდათ: ბურებმა რამდენგანმე დაამარცხეს ინგლისელები უწინდებურად, ძველებურად. გამოირკვა, რომ თვით თათბირიც ბურთა მეთაურებისა ვითომდა დამორჩილების შესახებ ტყუილი ყოფილა, ინგლისის მამაც გენერლების ოცნების ნაყოფი. თათბირი კი ჰქონიათ ბურების წინამძღოლებს, მაგრამ სულ სხვა რამეზედ და არა დამორჩილებაზედ, და გამარჯვებანიც აი სწორედ ამ თათბირის შედეგი ყოფილა. ბურებს ტაქტიკის გამოცვლაზედ ჰქონიათ ლაპარაკი, საჭიროდ უცვნიათ წინანდელის ტაქტიკის შეცვლა და ახალის შემოღება. მოგეხსენებათ, ბურები ბრძოლის მოედანზედ პატარ-პატარა რაზმებად დაყოფილნი გამოდიოდნენ. ინგლისის უზარმაზარ ჯართან პირის-პირ შებმა შეუძლებელი იყო, ამიტომ ბურებმა თავიანთი ლაშქარი წვრილ რაზმებად დაჰყვეს და ამ რაზმებით ხან აქ აწუხებდნენ ინგლისელებს, ხან იქ. კიტჩენერმა, ვერაფერი გააწყო რა ამ ხალხთან, სხვა ხერხს მიჰმართა: ბლოკჰაუზები გამართა, ბურებისავით თავის ჯარი პატარა რაზმებათ დაჰყო და ამ ბლოკჰაუზებს მიუჩინა. მაგრამ ბურები რის ბურები არიან, თუ ხერხის გამოგონებაში ინგლისელებს ვერ გადააჭარბენ. ბურებმა თავიანთი პატარა რაზმები შეაერთეს და მიესივნენ ინგლისელების პატარა რაზმებს. რაღა ლაპარაკი უნდა, ბურები თუ აქამდე მცირე რიცხოვანის რაზმებით ამარცხებდნენ ინგლისელებს, მრავალრიცხოვანით უფრო ცუდ დღეს დააყრიდნენ და დააყარეს კიდეც. ექვსი—შვიდი გამარჯვება თითქმის ზედიზედ მოჰყვა. ამბობენ, კიტჩენერმა აღარ იცის ეხლა, როგორ ებრძოლოს ბურებს, პატარა რაზმებით თუ დიდის ჯარით—ორსავე შემთხვევაში დამარცხებული ის გამოდის. ამიტომ ურჩევენ გაზეთები ინგლისს ომის მოსპობასა და ზავის ჩამოგდებას. „Indep. Belge“ სწერს: „დადგება დღე, როდესაც ინგლისი ნილაბს მოიხსნის და გამოტყდება, რომ იმ ჯარით, რომელიც კიტჩენერსა ჰყავს, ბურების დამარცხება შეუძლებელია. ერთად-ერთი გზა და ხსნა მაშინ ის იქნება, რომ ლიბერალების რჩევას დაუჯერონ და მხედველობაში მიიღონ ბურების სურვილი და ზავი ჩამოაგდონ. მაგრამ საფიქრებელია, რომ ამ საშუალებას ინგლისელნი ძალიან გვიან მიმართავენ, სახელდობრ მაშინ, როდესაც ინგლისის სისასტიკე შეუძლებელ ჰყოფს შერიგებას, როდესაც ყველასათვის აშკარა შეიქნება, რომ სამხრეთ-აფრიკაში ერთ-ერთი ერი უნდა ბატონობდეს—ჰოლანდიელნი ან ინგლისელნი“.

ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრეფილი ამბები.

ავსტრიის უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლების კარები თან-და თან ეხსნება ქალებს. ვენის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პროფესორთა კრებულს ერთხმად დაუდგენია, ნება მისცეს ქალებს აკადემიაში შესვლისა, როგორც სტუდენტებად, ისე ყურის-მგდებელად. ლვოვის უნივერსიტეტში ამა სასწავლო წელს 60 სტუდენტი ქალი სწავლობს. ამ უნივერსიტეტის საბჭოში ლაპარაკიც-კია იმის შესახებ, რომ ქალებს საბჭომ სტიპენდიები დაუნიშნოს. ჰფიქრობენ, ლვოვის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტშიაც მალე მიიღებენ ქალებს.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას გადაუწყვეტია, მიჰმართოს სახელმწიფოებს და სთხოვოს საერთო ძალით შეუდგნენ ვირთაგვების ამოჟლეტას, რადგანაც შავი ჭირი უმთავრესად ვირთაგვების წყალობით ვრცელდება. თითქმის შავი ჭირი ჯერ ვირთაგვებსა ჰჟლეტავს. სამხრეთ-აფრიკაში შარშან ეს სენი ჯერ ვირთაგვებს მოედო. კალიფორნიაში მისულ ერთ გემზედ, 6 ივლისს, შავი ჭირი გაჩნდა. გონკონგიდგან სან-დიეგომდე ამ გემზედ ექვსი კაცი მომკვდარა. გემზედაც შავი ჭირი ჯერ ვირთაგვებს დაჰრევია. შეერთებულ შტატების სასანიტარო უწყება დარწმუნებულია, რომ შავი ჭირი მთელ დედამიწას მოედება, თუ სახელმწიფოები ვირ-თაგვების ამოჟლეტას არ შეუდგას გვიან.

* * *

ამერიკაში ახალი გასართობი ანუ, როგორც ეხლა ამბობენ, სპორტი მოუგონიათ—გაჯიბრება ცულებით. პირველი საზოგადოება, რომელმაც ეს გასართობი გაიხადა აზრად, დაარსდა ლოტრობში, ტასმანიას. წევრნი დიდ ხეებსა სჭრიან და შემდეგ აპობენ.—აი ეს არის გასართობი. ვინც ადრე გააპობს უზარმაზარ ხეს, ჯილდოსაც ის მიიღებს. უსაქმურ ხალხისათვის ესეც კარგია.

* * *

მეტად მოხერხებული მანქანა გამოუგონია მოსკოვის რკინის გზათა კონდუქტორს სპირიდონჩენკოს. მანქანისთვის სახელად გამომგონს „მგზავრთა მაღვიძებელი“ დაურქმევია. მგზავრს ვაგონში არხეინად შეუძლიან ძილი, ეს მანქანა, ახლო სადმე მიმაგრებული, დანიშნულ ადგილასა და დროს ზურგში ოდნავ კაკუნს დაუწყებს და გამოაღვიძებს მძინარეს.

* * *

საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს ამას წინად დაბეჭდილი წიგნი „საფრანგეთის სათეატრო ცხოვრება“. როგორც ამ წიგნიდგანა სჩანს, ფრანგ არტისტებს დიდი ჯამაგირები ჰქონიათ, ასე რომ ამ მხრივ არტისტები სახელმწიფოს წარჩინებულ მოხელეებსაც-კი არ ჩამოუვარდებიან. აი ზოგიერთ მოხელეთა ჯამაგირები საფრანგეთში. პრეფექტს აქვს—24,000 ფრანკი, საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარეს—30,000 ფრ., დივიზიის გენერალს—19,000 ფრ., ბრიგადის გენერალს—12,000 ფრანკი; ამავე დროს არტისტებს ფაბრსა და დელონეს თითოს ჰქონდათ 65,000 ფრანკი. ოპერის არტისტები ამაზედ მეტსაც იღებენ. „კომიკურ ოპერა“-ში ვან-ზანდსა და გეილბრონს თითოს თვეში რვა-რვა ათასი ფრანკი ეძლევა. „დიდ-ოპერა“-ში ტენორი ნოდენი იღებს 110 ათასს ფრანკს წელიწადში, ლასსალი—11 ათასს ფრანკს თვეში. ჟან რეშკე—6 ათასს, ედუარდ რეშკე—5 ათასს. სარრა ბერნარს „რენესანში“ თითო წარმოდგენისთვის ეძლევა 1,500 ფრანკი, რეჟანს—800 ფრანკი, უფროსს კოკლენს—800 ფრანკი. ბარონი „ვარიეტის“ თეატრში 100 ათას ფრანკს იღებს წელიწადში, ჟოზე დიუპუი—75 ათას ფრანკს. მიუხედავად ასეთის დიდის ჯამაგირებისა მსახიობნი მაინც მუდამ გაჭირვებაში არიან. გარდა იმისა, რომ არტისტებმა ფულის დაზოგვა არ იციან, თვით სცენაც მეტად დიდ ხარჯს თხოულობს იმათგან.

* * *

მომავალ გაზაფხულზედ რომში მოხდება ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესი. იმ კომიტეტის ნაწილს, რომელიც კონგრესის მზადებაშია, განუზრახავს კონგრესის დროს, გამართოს სათეატრო საქმის გამოფენა. გამოფენილი იქმნება ყველაფერი, რასაც-კი კავშირი აქვს თეატრთან და არტისტებთან, ტანისამოსი, დეკორაციები, აფიშები, რეკვიზიტი, პიესები და სხვა.

* * *

ამერიკაში ახალი ვარსკვლავი აღმობრწყინდა—ოტტო-ვუნდერლეი. ვუნდერლეი ჟოკეია, ცხენების მჯენებელი დოღის დროს, მაგრამ ამ უკანასკნელ ხუთ თვეში ისე გაითქვა სახელი, რომ დღეს წლიურ ჯამაგირიც ამ ჟოკეის 80,000 ფრანკს აძლევენ. ვუნდერლეი თითქმის ბავშვია, 17 წლისა. ნეტა რა ხერხი უნდა იცოდეს ისეთი ცხენების ჯენების საქმეში, რომ ამოდენა ფულს არ იშურებენ!?...

დეპეშა

19 დეკემბერი

პეტერბურგი. დეკემბრის 19 დაბრუნდა ვარშავის გზით კიევიდგან დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მეუღლითურთ.

დეკემბრის 19 დაათვალიერა დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ საერთა—შორისო სამხატვრო გამოფენა ძვირფას ხელოვნების ნაწარმოებთა.

დეკემბრის 19 მოხდა საიუბილეო საზოგადო კრება და დაიხურა პირველი კრება სასოფლო მეურნეობისა მოღვაწეთა, რომელსაც მიწათ-მოქმედების მინისტრი დაესწრო. შემდეგი კრება მომავალს წელს დეკემბერში მოხდება.

ტვერი. ტვერის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება დასრულდა.

კიევი. ქალაქის არჩევნები იანვრის დამლევს მოხდება. საარჩევნო სიებში შეტანილია სულ 2, 800 კაცი და ამათგან სახლის პატრონი 2, 297.

კრონშტადტი. ყინულის მჭრელი გემი „Ермакъ“ რეველში წავიდა.

ვარშავა. დონიდგან პოლონეთში კოქსის გასატანად შემცირებულ ტარიფის პროექტის შემუშავებას შეუდგნენ, რომ სილეზიის ქარხნებში ნახშირის მაგიერად ამიერიდგან კოქსი იხმარონ. რადგანაც შენობა შიგნიდგან ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის, ვარშავის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის გახსნა მაისამდე იქმნა გადადებული. შინაგან საქმეთა მინისტრმა დედათა მფარველ საქრისტიანო საზოგადოების წესდება დაამტკიცა.

დურბანი. როგორც „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, ლენგონეკთანა და ბოტას სახლის მთის გასავალთან 15 დეკემბერს ინგლისელებს ბურებთან შეტაკება ჰქონდათ. მტერი უკუუქცევიათ. ინგლისელების მხრივ სამი კაცი დაუჭრიათ. იუწყებიან აგრეთვე, რომ დეკემბრის 16-ს ბოტას დევეტისათვის ჯარის მიშველება სდომებია, მაგრამ სტანდერტონთან სანგლებს თურმე ვერ გადუვიდა.

ლონდონი. გერმანიის იმპერატორის დაბადების დღესასწაულზედ დასასწრებად მეფემ ბერლინში უელსის პრინცი გაგზავნა.

დარმშტადტი. დიდი ჰერცოგი დეკემბრის 18 მოვიდა აქ ნაშუადღევს, იმავე დროს მოვიდა დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძეც მეუღლითურთ.

20 დეკემბერი.

პეტერბურგი. 18 დეკემბერს ხელმწიფე იმპერატორმა მისის უდიდებულესობის ლეიბგვარდიის პირველ მსროლელთა ბატალიონი ინახულა.

ლონდონი. პეკინიდგან იუწყებიან, რომ ტუნფუსიანი და პრინცი ტუანი ნინიანფუს ქალაქის პრეფექტურაში დარჩენილან იმის მაგივრად, რომ თურქესტანს წასულიყვნენ, სადაც იგინი იქმნენ გაგზავნილნი. ამ წინაზედ ნინიანფუში მომხდარს მკვლელობას უცხოელ მისიონერისა და მოქცეულ ჩინელებისას ამათს აქ ყოფნას აბრალებენ.

ბერლინი. ახალის წლისა გამო სასახლეს სამგლოვიარო შავები აჰხსნეს. სასახლის ეკლესიაში გარდახდილ სადღესასწაულო ღვთის მსახურების შემდეგ მათს უდიდებულესობას მისალოცად წარუდგნენ.

მოსკოვი. სამსახურს გარეშე მყოფ ერთის სამხედრო კაცის ბინაში, რომელიც უწინ ციმბირში ყოფილა საპატიმროს უფროსის თანაშემწედ, პოლიციამ აღმოაჩინა ქურდები და ნივთები, რომლებიც მოსკოვისა, კიევისა, პეტერბურგისა, ვარშავისა და ოდესის მაღაზიებიდგან არის მოპარული.

სარატოვი. საგუბერნიო ერობამ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღსძრა, რომ 300,000 მან., რომელიც მთავრობამ მისცა სესხად საზოგადო სამუშაოთათვის, ხაზინამ მიიღოს თავისს თავზედ და ამას დაუმატოს კიდევ 49,000 მან. ვოლსკის უეზდში განზრახულ სამუშაოთათვის, რაც შეეხება 90,000 მანეთს, რომელიც ახლა აკლიათ მუშაობის დასამთავრებლად, ეს სესხად გამოითხოვონ.

ბაქო. ნავთის მრეწველთა კრებამ დაამტკიცა წესდება მუშათა დამზღვეველ კასსებისა და საავადმყოფოსი იმ რიგად, როგორც ეს მიწად-მოქმედების სამინისტრომ წარმოუდგინა. გარდასწყვიტეს აგრეთვე განზრახულ სამთო სასწავლებლისათვისაც ხარჯი გაიღონ თუ რომ კრებას ნებას დაჰრთავენ სასწავლებლის წესდების პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს; საპედაგოგო საბჭოში მონაწილეობა უნდა მიიღონ: ინჟენერებმა, ნავთის მრეწველთა წარმომადგენლებმა; სამზრუნველო საბჭო მხოლოდ ნავთის მრეწველთაგან უნდა შესდგეს. მიწად-მოქმედების სამინისტრომ კრების პროგრამაში შეიტანა კითხვა იმის შესახებ, რომ ნავთის ფუთეული ფასი ნავთის მოიჯარადრეთათვის წილადის გარდასახადით (долевое отчисленіе) იქმნეს შეცვლილი.

რომი. საფრანგეთის ახალშენმა რომ ახალშენმა რომ ახალი წელი მიულოცა, ბარერმა სთქვა, რომ წარსულმა წელმა იტალიასა და საფრანგეთს შორის მეგობრობა საბოლოოდ განამტკიცა, რომ უთანხმოებისა და უნდობლობის ყველა მიზეზები ამ ორს სახელმწიფოს შორის მოისპო; გადასწყვიტეს ტუნისის კაპიტულიაციის საქმე, ძნელი საგანი საფრანგეთსა და იტალიის შორის საერთო საპოლიტიკო დამოკიდებულების აღდგენისა მოაწყეს, მშვიდობიანად და შინაურულად მორიგებით გამოარკვიეს საზღვრები სახელმწიფოსი შავს ზღვაზედ და თავიდგან აიცილეს ყველა ის უთანხმოებანი, რომლებიც ხმელთა შუა ზღვაში იყო მოსალოდნელი; პინნეტის მიერ ამ წინაზედ გამოთქმულმა ცნობამ დაგვიმტკიცა კიდევ, რომ საფრანგეთსა და იტალიის შორის ხმელთა შუა ზღვაში სადაო აღარა არის-რა. მაშასადამე, ყოველივე ეს თავდები უნდა იყოს, რომ ორი მოძმე ერი ლათინთა მოდგმისა ამას იქით დიდხანს იცხოვრებენ მეგობრულადა და მშვიდობიანადაო.

ბუდაპეშტი. ახალის წლის გამო ლიბერალთა დასისაგან მილოცვის მიღების დროს სცელლმა აღნიშნა ის დაბრკოლებანი, რომელნიც ავსტრიის მხრივ საბაჟო და სავაჭრო-საპოლიტიკო საქმეებში მთავრობას წინ ეღობებიან ამ ჟამად; გულწრფელადა მსურს სამართლიანად შევთანხმდეთ როგორმე საბაჟო საქმეში, მაგრამ უკანასკნელი ვადა დაგვიდგა და მეტი დაყოვნება აღა შეიძლებაო. ელემენტები, რომლებიც ასე აბრკოლებენ მუდამ ამ ორის სახელმწიფოს ერთმანერთთან პატიოსნურადა და სამართლიანად შეთანხმებას, სწორედ მძიმე პასუხისმგებლობას კისრულობენო.

პარიჟი. ლუბემ სადიპლომატო კორპუსი ელისეს სასახლეში მიიღო. უხუცესმა ნუნციო ლორენცელლომ, კორპუსის სახელით სიტყვა წარმოსთქვა და საფრანგეთის პოლიტიკას საერთაშორისო საგნების გარდაწყვეტაში პატივისცემით თანაგრძნობა განუცხადა; თან დასძინა, რომ საფრანგეთმა მეოცე საუკუნეში გადასდგა ფეხი. როგორც სიმართლისა და მშვიდობიანობის მოყვარე სახელმწიფომ და გარდასწყვიტა ბევრი ისეთი საგანი, რომლებიც ორი წლის განმავლობაში ყველა სახელმწიფოებს აინტერესებდნენ. საზოგადოდ ყველას საკეთილდღეოდ უჩვენა ზომიერი მოთხოვნილებანი, რომლებიც შეიძლება თვითოეულმა მათგანმა გამოიყენოს თავისს უფლებათა და ინტერესების დასამტკიცებლად. საფრანგეთმა დაამტკიცა, რომ მშვიდობიანობის დაცვა მეტადა ჰსურდა, ვიდრე ძლიერების გამოჩენა. ლუბემ მადლობა გადაუხადა და კმაყოფილება განაცხადა, რომ მთავრობის პოლიტიკა ასე ღირსეულად დაუფასებიათ. პრეზიდენტმა თავისს მხრივაც ბევრი რამ უსურვა 1902 წელსა და დასძინა, რომ შეთანხმებათა ხანა მომავალში უკეთ განვითარდება.

ბარონის მარენგეიმის სახლს ცეცხლი გაუჩნდა; ძვირფასი და საჭირო საბუთის ქაღალდები გადაარჩინეს.

პეტერბურგი. საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში აქტის დასრულების შემდეგ სამხედრო მინისტრმა მკურნალებს და უფროსის კურსის სტუდენტებს შემდეგის სიტყვით მიჰმართა: „შემიძლიან გაცნობოთ, ბატონებო, რომ ხელმწიფე იმპერატორმა დღეს კეთილ ინება და თანხმობა განაცხადა სამხედრო მკურნალებს ჯამაგირები მოემატოთ და, თანახმად ჩემის შუამდგომლობისა, კანონიერად საქმის გარდაწყვეტამდე ახლავე ერთხნობრივ ორის თვის ჯამაგირი მიეცესთ“. დამსწრენი მინისტრის სიტყვებს „ურას“ ძახილით შეეგებნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 18 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინში 100 მარკაში	45,92½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,50
ბერლინში „	46,[illegible]
პარიჟში „	37,57½
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96½ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა.	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	479 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	365½ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	248½ მყიდვ.
3½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	87⅝ წვრ. გაყიდ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82 გაყიდ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	87¼ გაყიდ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9000 წვ. გა
აქციები „	447 „
„ კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	—
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

განცხადებანი

საყმაწვილო ნახატებიანი
ჟურნალი
„ჯეჯილი“
წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხ[illegible] იმავე პროგრამით, როგორათაც აქამ[illegible]

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თბილის[illegible] საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების საკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თბილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.
ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артилер. ул., № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*.

Дозвол. цензурою. Тифлисъ, 20-го Декабря 1901 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ამხ. ხელაძის სტამბა. ლორ.-მელიქ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.